ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 21 დეკემბერი, 2021 №241 (8770) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

თემურ ალასანია სასამართლოში დაკითხვაზე არ გამოცხადდა

„ის საქართველოში არ იმყოფება“

ეკონომისტი რამაზ გერლიანი გაუჩინარდა

ავჭალის პოლიციასთან მისი მანქანა იპოვეს

გვ.5

„ოცნება“ მიშას იმ პირობით გამოუშვებს, თუ ის პოლიტიკიდან ნავა“

გვ.2

კახა კუკავა: „ნაცებისთვის შერიგება სააკაშვილის გათავისუფლებაა, „ოცნებისთვის“ – ოპოზიციის ელისაშვილად გადაქცევა“



„ქართულ ოცნებას“ მხოლოდ ძალისმიერი ენა ესმის“

გვ.3

დავით დარჩიაშვილი: „სააკაშვილის მდგომარეობის შეცვლაა საჭირო. სხვანაირად რაიმე ტიპის შერიგებაზე, თანხმობასა თუ მორიგებაზე საუბარი წარმოუდგენელია“

„შერიგების პროცესი არ დაიწყება... ზურაბიშვილი ოპოზიციაში ყოფნის დროსაც თამაშობდა და ახლაც“

გვ.3

ნიკა ჩიტაძე: „მარგველაშვილმა და ზურაბიშვილმა სამშვიდობო მანტია მოირგეს“

„შეხვედრები საჭიროა, მაგრამ არა ნაძვის ხესთან“

გვ.4

თამარ ჩხეიძე: „პირველ რიგში, ეროვნული თანხმობა ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის შეწყვეტაში უნდა გამოიხატოს“

„საქართველოში სათამაშო ბიზნესმა ბევრი ოჯახი დააზარალა“

გვ.4

ზურაბ ქადაგიძე: „სათამაშო ბიზნესის დამფუძნებლებთან პრეტენზია არ მაქვს. პრეტენზია მაქვს კანონთან“

გვ.2

„ეს ჩვენ შორის მჭიდრო ურთიერთობაზე მიუთითებს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი სომეხ კოლეგას შეხვდა

ISSN 1987-9385

4 საქართველოში ომიკრონის 2 შემთხვევა დადასტურდა

5 აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცეპრეზიდენტი დააკავეს

5 პროკურატურა გერმანიას გიგი კალანდაძის გადმოცემის მოთხოვნით მიმართავს

6 ისრაელიდან აშშ-ში და კიდევ 9 ქვეყანაში გამგზავრება იკრძალება

„ოცნება“ მიშას იმ პირობით გამოუშვებს, თუ ის პოლიტიკიდან წავა“

კახა კუკავა: „ნაცებისთვის შერიგება სააკაშვილის გათავისუფლებაა, „ოცნებისთვის“ – ოპოზიციის ელისაშვილად გადაქცევა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, ეროვნულ შეთანხმებაზე, შერიგებაზე საუბრობს პოლიტიკური სპექტრი. სალომე ზურაბიშვილმა დაიწყო აქტიურობა ამ საკითხთან დაკავშირებით, შეხვდა პოლიტიკურ სპექტრს. რას ელით გამოვა ეს ყველაფერი?

– ამ კონკრეტულ ვითარებაში ეს ორი სხვადასხვა საკითხია. პირველ რიგში ვიტყვი იმას, რომ როგორლაც უნდა გამოვიყვანოთ ეს საკითხი, რადგან ჩვენი სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნა დამოკიდებულია სწორედ ამ ეროვნულ შეთანხმებაზე. თუ არ იქნება ეროვნული შეთანხმება, დარწმუნებული ვარ, ჩვენი სახელმწიფოებრიობა უახლოეს წლებში დაასრულებს არსებობას, როგორც 1921 წელს დაასრულა პირველმა ქართულმა რესპუბლიკამ რადგან ამ რეჟიმში ვხედავთ, რომ არც ერთი ქვეყანა არ არის, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც კი არ არსებობენ, თავი რომ დავანებოთ ცივილიზებულ ქვეყნებს. ჩვენ, სამწუხაროდ, სააკაშვილისა და ივანიშვილის მმართველობის პირობებში, 9+9 წელი, ძალიან მძიმედ გადავიტანეთ, დიდი ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა ქართველ ერზე და შეგვიძლია ვთქვათ, რომ პაპუასებივით ვცხოვრობთ. ყველა ქვეყნის პარლამენტში ხდება ჩხუბი და გინება, მაგრამ ეს იმდენად დიდი იშვიათობაა, რომ ამას სიენენი გადასცემს ხოლმე. ჩვენთან, სამწუხაროდ, ეს ყოველდღიურობის ნაწილია და არც არავინ გადმოსცემს. ჩვენ გადავიქეცით ბანანის რესპუბლიკად, სადაც ჩხუბი, გინება, პოლიტიკური რეპრესიები ჩვეულებრივი ამბავია.

– ეს სიტუაცია მხოლოდ ორ პოლიტიკურ ძალას აწყობს, ქოცებსა და ნაცებს და ორივე ხელს უწყობს ამ პროცესის გაღრმავებას?

– კი, ორივე ხელს უწყობს აშკარად და ორივე ენერგიას იღებს ამით, მათ შორის კი იჭყლიტება ქართველი საზოგადოება, ქართველი ერი და ამიტომ, თუ გვინდა გადარჩენა, ეროვნული თანხმობა აუცილებელია. ოღონდ ეს სერიოზული პროცესია და, რა თქმა უნდა, ამას არაფერი საერთო არ აქვს სალომე ზურაბიშვილის ინიციატივასთან. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის ინიციატივას, უნდა გვესმოდეს, რომ ეროვნული თანხმობის პროცესში აუცილებელია, მონაწილეობდეს ქვეყნის ყველა მთავარი პოლიტიკური ძალა. შეიძლება იყოს გამონაკლისი, რომ ერთი ან ორი რადიკალური და მარგინალური ძალა მას გაემიჯნოს, მაგრამ ეს პროცესი ვერ შედგება, თუ მას გაემიჯნა ხელისუფლება. ეროვნული თანხმობა ვერ შედგება, თუ მასში ხელისუფლება არ მონაწილეობს. ხელისუფლებას აქვს ყველაზე მეტი ბერკეტი. მას აქვს იმის ბერკეტი, რომ რაღაცა დაუშვას ან არ დაუშვას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

– აქვს ხელისუფლებას დღეს ამის სურვილი?

– არა, ხელისუფლების მხრიდან დღეს ამის სურვილი არ არის. სააკაშვილის მომხრეებს კი ეროვნული თანხმობის პროცესი წარმოუდგენიათ, როგორც სააკაშვილის გათავისუფლება ციხიდან, რაც სრული სისულელეა. ივანიშვილის მომხრეებს კი, იცით, როგორ წარმოუდგენიათ? კობახიძე ახმოვანებს ამ ყველაფერს, რომ ოპოზიციამ შეწყვიტოს ხელისუფლების კრიტიკა, შეწყვიტოს ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა ან ოპოზიცია გადაიქცეს ელისაშვილად.

„ივანიშვილის მომხრეებს კი, იცით, როგორ წარმოუდგენიათ? კობახიძე ახმოვანებს ამ ყველაფერს, რომ ოპოზიციამ შეწყვიტოს ხელისუფლების კრიტიკა, შეწყვიტოს ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა ან ოპოზიცია გადაიქცეს ელისაშვილად“

– ანუ ორივე მხარეს თავისი სტანდარტი აქვს და ამ ჭრილში ხედავენ ამ მნიშვნელოვან საკითხს?

– დიახ, თავიათი სტანდარტი აქვთ და არც ერთი მათგანის ხედვა ეროვნულ თანხმობასთან ახლოსაც კი არ არის. სალომე ზურაბიშვილი რეალურად ამბობს, რომ უბრალოდ ხმამაღალი ლაპარაკი ნუ იქნება. ეს არ არის ეროვნული თანხმობა. ეროვნული თანხმობის პროცესში ძირითადი საკითხი არის ხელისუფლების გადანაწილება! მე ამ საკითხზე სადისერტაციო თემას ვამზადებ და ბევრი ქვეყნის მაგალითს გავეცანი. აი, ეს არის ცენტრალური საკითხი და, როცა ეს საკითხი გვარდება, მერე აქედან გამომდინარე შეიძლება მოხდეს ვიღაცის შეწყალება, ვიღაცის ამნისტია. ზოგიერთ ქვეყანაში ამას ახლავს განიარაღების პროცესი, ლექსიკაზე შეთანხმება, მაგრამ ვიდრე გადაუწყვეტელია ლეგიტიმური ხელისუფლების საკითხი, იქ ვინ შეთანხმდება დაპირისპირების აღკვეთაზე. საქართველოში ხელისუფლება ჯერ არ არის მზად იმისათვის, რომ ძალაუფლების გადანაწილებასა და ლეგიტიმაციაზე ისაუბროს.

– ნაციონალები ამის წინაპირობად მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ და არის შანსი, რომ სწორედ სააკაშვილის გათავისუფლებით დაიწყოს ეს პროცესი?

– ეს იქნება არა ეროვნული შეთანხმება, არამედ კულუარული გარიგება. ამაზე მინიშნებები უკვე კეთდება, რომ სააკაშვილი გაუშვან ქვეყნის გარეთ, გაათავისუფლონ იმ პირობით, რომ ის ქართულ პოლიტიკას კარგა ხნით ჩამოსცილდება. აი, ამაზე მიდის ლაპარაკი, მაგრამ ამას ეროვნულ თანხმობასთან არაფერი საერთო არა აქვს. ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური ვაჭრობა. ამაზე საუბარი ადრეც იყო. შევარდნაძე და ჟვანია საუბრობდნენ ამაზე, სააკაშვილმაც მოაწერა მაშინ ხელი, მაგრამ ეს საკითხი მაშინ სერიოზულად არავის არ აღუქვამს. ახლა თუ სააკაშვილს გაათავისუფლებენ და ამას დაარქმევენ ეროვნულ თანხმობას, რა თქმა უნდა, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი ამას სერიოზულად არ მიიღებს.

– დღეს აქტიურად საუბრობენ სააკაშვილის ფსიქიკური დარღვევების შესახებ და ეს რამდენად შეიძლება გახდეს მისი გათავისუფლების საფუძველი?

– სააკაშვილს კარგად ვიცნობ და ის ნამდვილად არ არის მდგრადი ფსიქიკის ადამიანი. ვისაც მასთან ერთხელ მაინც ჰქონია შეხება, ამას ყველა დაადასტურებს. არ მიკვირს, რომ მისთვის პატიმრობა არის უფრო რთული, ვიდრე საშუალო სტატისტიკური ადამიანისათვის. რა თქმა უნდა, პატიმრობა ნებისმიერი ადამიანისათვის დისკომფორტია. სააკაშვილი ერთ ოთახშია ჩაკეტილი და ძალიან წუხსო. ამას რომ ვუსმენ, მეცინება. პატიმრობა სანატორიუმში ყოფნა კი არ არის. წამება სხვა რაღაცაა და ავადმყოფობა – სხვა.

– მისი ბიძის, თემურ ალასანიას ჩამოსვლასთან დაკავშირებით ორი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია გავრცელდა. ამბობენ, რომ ის კულუარულ მოლაპარაკებებს აწარმოებს ხელისუფლებასთან სააკაშვილის ქვეყნიდან გაყვანის თაობაზე და არის მეორე ვერსიაც, რომ დღევანდელი აქციით მან ახალი საპროტესტო ტალღა ააგორებინოს ნაცებს. რომელ ვერსიას იზიარებთ?

– ამას სხვა ოპოზიციური პარტიის ლიდერი არ გეტყვით, მე კი გეუბნებით, რომ ნაციონალური მოძრაობის პროტესტი განწირულია სრული კრახისა და ფიასკოსათვის. ნული იქნება შედეგი, თუ ხელისუფლებამ არ ჩაიდინა რაღაც საშინელება და ხალხი არ დახოცა ქუჩაში. თვითონ ნაციონალურმა მოძრაობამ რა სტრატეგიაც აირჩია სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის შემდგომ, ანუ შეცვალა მელიას სტრატეგია და გადავიდა ახალ სტრატეგიაზე. ეს სტრატეგია კი როგორც მუშაობს, ვხედავთ. თემურ ალასანიას ჩამოსვლას რაც შეეხება, მეც მაქვს ინფორმაცია, რომ გარდა მისი პროკურატურაში დაბარებისა, პარალელურად კულუარული მოლაპარაკებები მიმდინარეობს ხელისუფლებასთან, მაგრამ ხელისუფლებასაც თავისი პირობები აქვს. ხელისუფლებას, პრინციპში, უნდა სააკაშვილის გათავისუფლება, ოღონდ უნდა, ისე დააზიანოს, რომ ის პოლიტიკაში ვერ ჩაერთოს, უნდათ, რომ სააკაშვილმა ბრალი ნაწილობრივ მაინც აღიაროს. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, ხელისუფლება მზად არის მის გასათავისუფლებლად.

ზურაბ ჯაფარიძე: „შესარიგებელი არაფერი მჭირს“

– არ მჯერა, რომ რამე შედეგი ექნება, ასეთი აქციები ნანახი მაქვს მილიონი.

ასე აფასებს „გირჩი-მეტი თავისუფლებისთვის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე „პალიტრანიუსის“ გადაცემა „რეზიუმეში“ ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაანონსებულ აქციას, რომელიც 21 დეკემბერს გაიმართება.

მან ისაუბრა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ინიციატივასთან დაკავშირებითაც. ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ თავად მას შესარიგებელი არავისთან არაფერი აქვს.

ზურაბ ჯაფარიძის თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ყველა ხერხს იყენებს იმისათვის, რომ მიხეილ სააკაშვილი საპატიმროდან გათავისუფლდეს, მათ შორის ოპოზიციური პარტია პრეზიდენტის მიერ მის შესაძლო შეწყალებასაც უშვებს.

– ესეც რაღაც პოლიტიკური თამაშია, რაში მონაწილეობაც არ მინდა – ამას იმის გამო აკეთებს (ნაციონალური მოძრაობა), მათ შორის ასე პოზიტიურად ამიტომ აფასებენ ამ პროცესს საჯაროდ, რადგან კონკრეტული პრობლემა აქვთ, ლიდერი ჰყავთ ციხეში და იციან, რომ პრეზიდენტს ფორმალურად ეს ბერკეტი აქვს, რომ შეიწყალოს. ამიტომ ყველანაირად ეცდებიან, იქნებ ზურაბიშვილმა ეს ბერკეტი გამოიყენოს და მათი ლიდერი გამოიყვანონ ციხიდან. ისინი ცდილობენ ყველა გზის გამოყენებას, ოღონდ ლიდერი გამოიყვანონ ციხიდან, რაც ბუნებრივი ამბავია.

შერიგება რას ნიშნავს? ნაჩხუბრები არიან? მე არავისთან შესარიგებელი არ მაქვს. შეიძლება, კრიტიკული ვიყო ბევრის მიმართ, მაგრამ არავისთან ნაჩხუბარი არ ვარ და შესარიგებელი არაფერი მჭირს. თუ რამე მოხდება, უნდა მოხდეს შეთანხმება სამართლიან თამაშის წესებზე, – აღნიშნა ზურაბ ჯაფარიძემ.

„ეს ჩვენ შორის მჭიდრო ურთიერთობაზე მიუთითებს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი სომეხ კოლეგას შეხვდა

– ჩვენს ხალხებს შორის კონტაქტებს ხანგრძლივი ისტორია აქვს, ისევე, როგორც საქართველოსა და სომხეთს შორის არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანთან პირისპირ შეხვედრისას განაცხადა.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ მთავრობათაშორისი კომისია ხელს უწყობს საქართველოსა და სომხეთს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გაძლიერებას.

მხარეებმა საუბრისას ყურადღება დაუთმეს რეგიონში არსებულ ვითარებასა და არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობას.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ სწორედ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობას ემსახურება მის მიერ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გაჟღერებული „მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივა“, რადგან დემოკრატიული განვითარების, ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების, ღია და გამჭვირვალე მმართველობის, ეკონომიკური პროგრესის მიღწევა მხოლოდ მშვიდობისა და რეგიონული სტაბილურობის პირობებშია შესაძლებელი.

საქართველოსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრების თავმჯდომარეობით მთავრობის ადმინისტრაციაში ორი ქვეყნის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომა გაიმართა.

კომისიის სხდომა ირაკლი ღარიბაშვილმა და ნიკოლ ფაშინიანმა გახსნეს.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა სომეხ კოლეგას საქართველოში ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და ყურადღება გაამახვილა ორ ქვეყანას შორის არსებულ მჭიდრო თანამშრომლობაზე.

– მოგესალმებით, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ამ წელს ეს თქვენი რიგით მეორე ვიზიტია საქართველოში. ერევანში ოფიციალური ვიზიტით ორჯერ ვიყავი და სიამოვნებით და კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ ეს მართლაც მიუთითებს მჭიდრო ურთიერთობაზე, თანამშრომლობაზე, კეთილგანწყობაზე, რომელიც ჩვენ შორის არსებობს და მე მინდა, ამ განწყობისა და დამოკიდებულებისთვის მადლობა გადაგიხადოთ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველთვის გვქონდა ძალიან მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ სწორედ ჩვენი დამსახურებაა ის, რომ ჩვენს მთავრობებს, ქვეყნებს შორის არავითარი გაუგებრობა არ არსებობს და მართლაც იდეალური ურთიერთობა გვაქვს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს მთავრობის მეთაურს სომხეთის დელეგაციის მაღალ დონეზე მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა:

– კმაყოფილებით მინდა დავაფიქსირო, რომ მიუხედავად სიძნელეებისა, დღეს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობები ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა და წარმატებები დაფიქსირდა სხვადასხვა სფეროში.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველო ყოველთვის მზად არის, წვლილი შეიტანოს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განვითარებაში.

– ჩვენ დაინტერესებული ვართ იმით, რომ რეგიონში იყოს მშვიდობა და სტაბილურობა. საქართველო ყოველთვის მოტივირებულია, რომ ამ პროცესში შეასრულოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი. სწორედ ამ მიზნით, მოგეხსენებათ, რომ მე გავაჟღერე მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივა და მინდა დაგიდასტუროთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, მივიღოთ მონაწილეობა რეგიონის მასშტაბით და წვლილი შევიტანოთ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განვითარებაში, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართულ ოცნებას“ მხოლოდ ძალისმიერი ენა ესმის“

დავით დარჩიაშვილი: „სააკაშვილის მდგომარეობის შეცვლაა საჭირო. სხვანაირად რაიმე ტიპის შერიგებაზე, თანხმობასა თუ მორიგებაზე საუბარი წარმოუდგენელია“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, როგორც გაირკვა, სალომე ზურაბიშვილს გიორგი მარგველაშვილთან ჰქონია შეხვედრა. მარგველაშვილმა განაცხადა, რომ მან უკვე მიმართა შესაბამის უწყებას, რომ სააკაშვილსაც შეხვდეს. რამდენად ოპტიმისტურად უყურებთ ამ პროცესს, თუ ფიქრობთ, ირაკლი კობახიძის განცხადებების შემდეგ შეიძლება, ეს ყველაფერი მხოლოდ ფორმალობა იყოს?

– კობახიძისა თუ ივანიშვილის პოზიცია, კობახიძის მიერ გახმოვანებული, აბსოლუტურად დესტრუქციულია. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის იდეას, თუ ის განხორციელდება, ქვეყანას შედეგს ნამდვილად მოუტანს.

პრეზიდენტს, მიუხედავად შეზღუდული უფლებამოსილებისა, აქვს ბერკეტები, რომ ამ პროცესში პოზიტიური წვლილი შეიტანოს. ქვეყანა რომ უნდა გამოვიდეს კრიზისიდან და ამ სავალ გზაზე ყველამ თავისი პოზიტიური წვლილი რომ უნდა შეიტანოს, ეს ცალსახაა.

– ამ პროცესში დასავლეთის ფაქტორი რამდენად მნიშვნელოვანი იქნება?

– რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთის პოზიციას. სალომე ზურაბიშვილის იდეა სწორედ დასავლეთის განწყობებს აირეკლავს. დასავლეთის ზურაბიშვილს ბევრად უკეთ ესმის, ვიდრე ივანიშვილს, თუკი ივანიშვილს საერთოდ ესმის. შესაბამისად, ვფიქრობ, ზურაბიშვილის ეს იდეა მნიშვნელოვანწილად არის დასავლური ზეგავლენის შედეგი. თუმცა, მე არ მინდა, მას პირადი დამოკიდებულება დავუკარგო. ვფიქრობ, მისი დამოკიდებულებების ტრანსფორმაცია თუ ხდება, ხდება დასავლეთის მოთხოვნითაც. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ლოგიკურ, კონკრეტულ ნაბიჯამდეა მისაყვანი. ვნახოთ, როგორ მივა და ვის რა როლი ექნება. გიორგი მარგველაშვილის ძალისხმევაც სულაც არ არის უგულებელსაყოფი.

– „ქართული ოცნების“ განწყობა ცნობილია. შეიძლება, პროცესი შეიცვალოს? რამდენად გაქვთ ასეთი მოლოდინი?

– „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ ძალისმიერი ენა ესმის. საჭირო იქნება დასავლეთის მხრიდან შემდგომი მოქმედება, ისევე, როგორც საზოგადოების მიერ თავისი პოზიციის ჩვენება.

– „შემდგომ მოქმედებაში“ რას გულისხმობთ, ერთგვარ ზეწოლას დასავლეთის მხრიდან?

– დიახ, რა თქმა უნდა! „ოცნებისთვის“ ახსნას, თუკი არაფერი არ შეიცვალა, ეს სერიოზული პასუხისმგებლობის საკითხი იქნება მათი მხრიდან.

ამ ცვლილებებისთვის მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობის შეცვლაა საჭირო, ეს ცალსახაა. სხვანაირად რაიმე ტიპის შერიგებაზე, თანხმობასა თუ მორიგებაზე საუბარი წარმოუდგენელია. წარმოუდგენელია, როდესაც ცალსახად პოლიტიკური დევნის მსხვერპლია მიხეილ სააკაშვილი.

– თქვენ რა შინაარსს დებთ შერიგებაში? ბადრი ჯაფარიძე აცხადებს, რომ ეს ძალიან ამბიციური ტერმინია – უფრო პოლიტიკურ აქტორებს შორის თანხმობა უნდა ჩავდოთო.

– რა თქმა უნდა, შერიგება უფრო სხვა შინაარსს მოიცავს. აქ საუბარია უფრო პოლიტიკურ პლურალიზმზე, არსებობის პირობებზე.

– ანუ პოლიტიკური თამაშის წესები უნდა შეთანხმდეს?

– დიახ. კი ბატონო, ასე დავარქვათ. პოლიტიკურ მრავალფეროვნებას, პოლიტიკურ პლურალიზმს გარკვეული საარსებო სივრცე სჭირდება. ის, რაც ახლა გვაქვს, ნამდვილად არ არის პოლიტიკური პლურალიზმი. როდესაც ძალის ძალით არსებობს მედია, როდესაც თავისუფალი მედია მუდმივი ზეწოლის ქვეშ არსებობს, როდესაც პოლიტიკურ პარტიებს ნორმალური ფუნქციონირების საშუალება ჩამორთმეული აქვთ, ეს არ არის პლურალიზმი.

არჩევნების პროცესი, რომელიც ძირითადი მაჩვენებელია ქვეყანაში, არის თუ არა მრავალპარტიული დემოკრატია, იმდენად არანორმალურია, იმდენი დარღვევით არის წარმართული მთელი პროცესი, რომელიც შედეგზე ახდენს გავლენას, რომ არაფერი არსებითი განსხვავება ჩვენსა და რუსულ რეჟიმს შორის არ არის. რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს ეს შედარება, ეს რეალობაა. ასეთ პირობებში თანაარსებობასა და თანასწორობაზე საუბარი, უბრალოდ, წარმოუდგენელია. ქვეყანაში სრული თანასწორობა გვაქვს. არის პრივილეგირებული მმართველი პარტია ხელისუფლებასთან და ადმინისტრაციულ რესურსთან შეზრდილი, ყველა დანარჩენი კი ღარიბი ნათესავის მდგომარეობაშია.

„შერიგების პროცესი არ დაიწყება... ზურაბიშვილი ოპოზიციაში ყოფნის დროსაც თამაშობდა და ახლაც“

ნიკა ჩიტაძე: „მარგველაშვილმა და ზურაბიშვილმა სამშვიდობო მანტია მოირგეს“

იაგო ნაცვლიშვილი

რისი ნიშანია მეოთხე და მეხუთე პრეზიდენტების საიდუმლო შეხვედრა? ჰგავს თუ არა ზურაბიშვილის გზა მარგველაშვილისას? რამდენად იძლევა პროცესი ოპტიმიზმის საფუძველს და ხომ არ დაიწყო ახალი ეტაპი ქართულ პოლიტიკაში? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

– „ტვ პირველის“ ცნობით, ორი პრეზიდენტი ფარულად შეხვდა ერთმანეთს. ეს ნიშნავს იმას, რომ სალომე ზურაბიშვილი სერიოზულადაა მოწადინებული, რაღაც პროცესი დაიწყოს? გაგახსენებთ, საპრეზიდენტო არჩევნებისას მითხარით ინტერვიუში, რომ არ არის გამორიცხული, სიურპრიზები გველოდოს მისგან. ამას გულისხმობდით?

– სიურპრიზებში მაშინ ვიგულისხმე ის, რომ როდესაც ის უკვე იქნებოდა პრეზიდენტი, შესაძლოა, დაეწყო დამოუკიდებელი მოთამაშის მორგება, რაც ხდება კიდეც. ხომ გახსოვთ, მარგველაშვილიც პირდაპირ არ დაუპირისპირდა ივანიშვილს, არც გაუკრიტიკებია და არც არაფერი, გადავიდა ავლაბრის რეზიდენციაში და თავად ივანიშვილი დაუპირისპირდა მეოთხე პრეზიდენტს.

– მაშინაც ნაბიჯ-ნაბიჯ წავიდა პროცესი.

– კი, ასე იყო. მაინც თავს იკავებდა პრეზიდენტობისას „ოცნების“ ღია კრიტიკისგან. ნელ-ნელა, მაგრამ მაინც დისტანცია ჰქონდა. ეტყობა, დავალებული იყო ივანიშვილისგან, იმიტომ, რომ ივანიშვილის ფაქტორის გარეშე ის ვერ გახდებოდა პრეზიდენტი. ალბათ, ეს ფაქტორი რაღაც როლს ასრულებდა.

– ზურაბიშვილიც დავალებულია ამ მხრივ, ისიც ვერ გახდებოდა პრეზიდენტი ივანიშვილის გარეშე და მსგავსებებს ხედავთ მარგველაშვილსა და ზურაბიშვილს შორის?

– ტაქტიკაში ვხედავ რაღაც განსხვავებას. სტრატეგია იყო მარგველაშვილის, რომ ის ნამდვილად იყო საქართველოს რეალური პრეზიდენტი. ალბათ, ზურაბიშვილიც ამას ცდილობს. 2024 წელს პირდაპირ აღარ აირჩევა პრეზიდენტი და, შესაძლოა, მას აღარ დაუჭიროს მხარი „ოცნებამ“. მან თავისი ნიშა აიღო, თუნდაც იმავე დასავლეთის თვალში ჩანდეს გაცილებით უფრო კონსტრუქციულად, ვიდრე მთავრობა. ვხედავთ, რომ პრემიერი კარგად არ არის მიღებული დასავლეთისგან, მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელში მიიწვიეს, მაგრამ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე სომხეთის პრეზიდენტიც მიიწვიეს, აზერბაიჯანისაც, უკრაინისაც და მოლდოვის ხელმძღვანელობაც.

– ჩვენი ხელისუფლებიდან ვინმე კარგად არის მიღებული დასავლეთის მხრიდან?

– არავინ არ არის. შედარებით ესაუბრებიან სალომე ზურაბიშვილს და, თუ არჩევანი არის, მაშინ მასზე აკეთებენ აქცენტს.

– პრეზიდენტი სხვა ინსტიტუციაა ფორმალურად მაინც და რეალურად დრო გვაჩვენებს, მაგრამ აქ „ოცნებაზე“ ვკითხულობ.

– კი, ის გარკვეულწილად ემიჯნება „ოცნებას“ თავისი განცხადებებით.

რაც შეეხება პრეზიდენტს, მან თავიდან თქვა, რომ მესამე პრეზიდენტს არ შეიწყალებს, მაგრამ ახლა ეროვნულ შერიგებაზე საუბრობს. მე მისი ბოლომდე არ მწამს, რადგან ჯერ ბიძინას აქებდა და ადიდებდა, პრეზიდენტი გახდა და ახლა ვითომ ევროპული თამაში დაიწყო. თავის დროზე არ იცოდა, ბიძინა ვინ იყო?!

– შეწყალებას რაც შეეხება, მარგველაშვილმაც არ უპასუხა კითხვას პირდაპირ, შეიწყალებდა თუ არა სააკაშვილს, პრეზიდენტი რომ იყოს. რატომ?

– მარგველაშვილიც და ზურაბიშვილიც ცდილობენ, რომ პრინციპული ადამიანების პოზიცია ითამაშონ, რადგან აკრიტიკებენ ნაცმოძრაობას, უშუალოდ პრეზიდენტ სააკაშვილს და ახლა უცბად რომ განაცხადონ, რომ პრეზიდენტი პოლიტიკური დევნილია და ა.შ. ავტომატურად გამოდის, რომ ისინი სააკაშვილის მომხრეებად გამოდიან და ამით გამოდის, თითქოს თავიანთ იდეებს ღალატობენ.

– სააკაშვილის შეწყალებისა და ზოგადად მისი თავისუფლების გარეშე ე.წ. შერიგების პროცესი არ გამოვა?

– ნაცმოძრაობა ითხოვს, რომ სააკაშვილი უნდა გათავისუფლდეს და მერე შეიძლება. არა, შერიგება ძალიან რთული პროცესი იქნება. ამ ეტაპზე არ მჯერა, რომ მოხდება შერიგება. ჯერ ერთი, რადიკალურად განსხვავდება „ოცნებისა“ და ენმ-ის პოზიციები ერთმანეთისგან. „ოცნება“ ამბობს, ნაცმოძრაობამ აღიაროს დანაშაული, წავიდეს პოლიტიკიდან და მერე შევრიგდეთო. თუ წავიდნენ პოლიტიკიდან, შერიგებას რაღა აზრი აქვს?! ნაცმოძრაობა ამბობს, რომ სააკაშვილს არ გაათავისუფლებენ, შერიგებას აზრი არ აქვს. რადიკალურად განსხვავებულია პოზიციები და დიდი ხანი იქნება ასე.

– ორი პრეზიდენტის შეხვედრას მივუბრუნდეთ. თქვენი შეფასებით, ეს რის ნიშანი იყო?

– თითქოს მარგველაშვილი იზიარებს ზურაბიშვილის პოზიციას, რომ ეროვნული შერიგებაა საჭირო. სამშვიდობო მანტია მოირგეს. თუმცა, როგორც გითხარით, ზურაბიშვილის გულწრფელობაში ეჭვი მეპარება. თავის დროზე რადიკალურ ოპოზიციაში იყო და, როცა ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში იყო, აცხადებდა, რომ ომი საქართველომ დაიწყო და ა.შ. დღეს, რადგან პრეზიდენტია, ცდილობს, პრეზიდენტის მანტია მოირგოს, თითქოს გამაერთიანებელია, მაგრამ ახლაც არ არის გულწრფელი.

– თამაშობდა მაშინაც და თამაშობს ახლაც?

– დიახ, მე ასე მგონია. მაშინ სჭირდებოდა მას და არა საქართველოს, რომ ხელისუფლება ეკრიტიკებინა. კრიტიკა ჩვეულებრივი მომენტია, როცა ოპოზიციაში მიდიხარ, მაგრამ ის გამოვიდა ქვეყნის ოპოზიციად და არა ხელისუფლების. ასეა, როცა ქვეყანას აბრალებ ომის დაწყებას.

– ახლა ვისთან თამაშობს, დასავლეთთან?

– კი. სურს აჩვენოს, რომ კონსტრუქციულია. სხვათა შორის, არა მარტო მასთან. პრეზიდენტმა სააკაშვილმაც კი აღიარა მისი კონსტრუქციულობა, რაც საინტერესო მომენტია. მელიამაც თქვა, რომ არ არის გამორიცხული, შემდეგ შეხვედრაზე მივიდეს პრეზიდენტის სასახლეში.

– გასაგებია, რომ პრეზიდენტს უნდა ამ პროცესის დაწყება. როგორ და ვის დასანახად, სხვა საკითხია, მაგრამ, როგორ დაიწყება ეს იმ განცხადებების შემდეგ, რომლებიც იმავე შეხვედრაზე გააკეთა კობახიძემ, როცა პრეზიდენტმა ნახევარი საათის წინ თქვა, წინაპირობებს ნუ დააყენებთო?

– მაგას ვამბობ, რომ ძალიან რთული იქნება პროცესის დაწყება. ხომ გეუბნებით, რადიკალურად განსხვავდება პოზიციები. უბრალოდ, ზურაბიშვილმა თითქოს თავისი საქმე გააკეთა, ცდილობს, პოლიტიკური ძალები და მისი მომხრეები შეარიგოს ერთმანეთს.

– მაგრამ, როგორ გამოდის საქმის გაკეთება, როცა ერთია პოზიციის დაფიქსირება და მეორე – საქმის გაკეთება?

– კი, მაგრამ მისი მინიშნებაა, მე ჩემი გავაკეთე და ჯერი თქვენზეაო.

– ჩანს, თითქოს დასავლეთი უმაგრებს ზურგს და ზემოქმედების რამე ბერკეტი არ აქვს თუნდაც მისი დახმარებით?

– კი. დასავლეთში განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ ინიციატივას, მაგრამ შემდეგ ჯერი „ოცნებასა“ და ნაცმოძრაობაზეა, ისინი რა პოზიციას გამოხატავენ.

– კრიზისის დროს ყოველთვის დასავლეთი იყო შუამავალი და ამჯერად თითქოს ქართველი პოლიტიკოსები აპირებენ მაგიდის გარშემო დასხდომას. რაღაც ახალი ეტაპი ხომ არ არის ეს?

– არა, სამწუხაროდ, ჯერ არა. შეიძლება, ვცდებოდე. ძირითადად არ ვცდები ხოლმე პროგნოზებში, თუმცა შევცდი, როდესაც გითხარით, რომ სააკაშვილი არ ჩამოვიდოდა. შეიძლება, ახლაც შევცდე, მაგრამ მგონია, რომ შერიგება ვერ მოხდება.

– არც დაიწყება პროცესი?

– მაშინ ღარიბაშვილი უნდა გადადგეს და კობახიძე არ უნდა იყოს პარტიის ლიდერი. კობახიძეს სხვა პოზიცია აქვს და, სიტყვაზე, დავით სერგეენკოს – სხვა, რომელიც უფრო კონსტრუქციულად არის განწყობილი და არც ოდიოზური ფიგურაა.

– ღარიბაშვილი უნდა გადადგეს და ტიკარაძე მოვიდეს, როგორც დაიწერა პრესაში?

– არა, ზოგადად ვამბობ. სანამ ღარიბაშვილი პრემიერია და კობახიძე – პარტიის ლიდერი, იქამდე არაფერი იქნება. სიტყვაზე, კვირიკაშვილი რომ იყოს პრემიერი, მაშინ უფრო მოსალოდნელი იქნებოდა რაღაც ნაბიჯები. გამოდის ღარიბაშვილი და აცხადებს, რომ სუვერენული ქვეყანა ვართ და არავისგან არავითარი მითითებები არ გვჭირდება, ამ დროს ამ პროცესის დაწყება წარმოუდგენელია.

– ვთქვათ, კუჭავა რომ გახდეს პრემიერი, მაშინ შესაძლებელია?

– კუჭავა უფრო კონსტრუქციულია, რა შედარებაა. ერთი მხრივ, პერსონებზეც არის დამოკიდებული, მაგრამ მთავარი, ხომ იცით, რაც არის – ივანიშვილი როგორ გადაწყვეტს. ღარიბაშვილის წასვლაზეც ხშირად ლაპარაკობენ, მაგრამ ჯერ არ მიდის, თორემ თავად „ოცნებას“ ურჩევნია, მოიცილონ.

– შეელევა ივანიშვილი?

– ერთხელ შეელია. საინტერესოა, მაშინ რატომ შეელია?! დასავლეთმა შემოუთვალა თუ სხვა მიზეზის გამო?! გახსოვთ, მაშინაც რადიკალური პოზიციები ჰქონდა მას. ნაცმოძრაობის ოფისების დარბევის შემდეგ თქვა, მადლობა თქვას ნაცმოძრაობამ, რომ იმას არ უკეთებს ხალხი, რასაც თავად უკეთებდნენ ხალხსო.

„შეხვედრები საჭიროა, მაგრამ არა ნაძვის ხესთან“

თამარ ჩხეიძე: „პირველ რიგში, ეროვნული თანხმობა ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის შეწყვეტაში უნდა გამოიხატოს“

მარიამ მჭედლიშვილი

რას მოიტანს ეროვნული შერიგება-თანხმობის პროცესი, რომელიც პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა წამოიწყო? რა საკითხები უნდა განიხილებოდეს შეხვედრებსა და კონსულტაციებზე? რატომ არ არის დამაჯერებელი პრეზიდენტის წინადადებები? სადამდე მივა „ქართული ოცნება“ ანტიდასავლურ ნაბიჯებში? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.

– ეროვნული თანხმობისა და შერიგების პროცესის ფარგლებში დაანონსებულია პრეზიდენტის კონსულტაციები. პირველ რიგში რა საკითხებია განსახილველი შეხვედრებზე?

– თავიდან შევეხები ტერმინებს. არა მგონია, ამ ვითარებაში ადეკვატური და სწორი იყოს სიტყვა „შერიგება“, რომელსაც ბოლო დროს ამ კონტექსტში ხშირად იყენებენ. შერიგება ისაა, ბავშვები რომ გაებუტებიან ერთმანეთს და შემდეგ რიგდებიან. ამ შემთხვევაში უნდა გამოიყენებოდეს ტერმინი „ეროვნული თანხმობა“. შერიგება იქნება, მორიგება თუ დეპოლარიზაცია, პირველ რიგში ეს უნდა გამოიხატოს ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის შეწყვეტაში. შეხვედრებზე ეს უნდა განიხილებოდეს.

– საქართველოში ილახება ადამიანის უფლებები?

– რასაკვირველია. თუ თანხმობა გინდა, უპირველეს ყოვლისა, მიხედე იმას, რაც უკვე დაადგინა დემოკრატიულმა კაცობრიობამ. ველოსიპედის გამოგონება საჭირო არ არის. თუ პრეზიდენტს ნამდვილად უნდა სიტუაციის განმუხტვა, ეს მის ხელშია.

– დააკონკრეტეთ.

– სალომე ზურაბიშვილის ხელშია მიხეილ სააკაშვილის შეწყალება. ამაზე მან თავის დროს თქვა „არა და არასოდეს“. ამ დროს გამოდის შერიგებისა თუ თანხმობის ინიციატივით. თანხმობა უნდა ნიშნავდეს ადამიანის უფლებების დარღვევის შეწყვეტას, პირველ რიგში მესამე პრეზიდენტის მიმართ და მის გათავისუფლებას. მოქმედი პრეზიდენტის გულწრფელობაში ეჭვი მეპარება. მგონია, რომ ეს ყველაფერი მან წამოიწყო დასავლეთის საზოგადოების წინაშე თავის გამოსაჩენად და დასავლეთის დასანახად. ასეთი მოქმედებები მისთვის დამახასიათებელია.

– მაგალითებს ხომ არ მოიყვანდით?

– ყველას გვახსოვს, როგორ მოაწერა ხელი „ქართულმა ოცნებამ“ მიშელის დოკუმენტზე. შემდეგ მმართველი პარტია ამ დოკუმენტიდან გამოვიდა. სალომე ზურაბიშვილი ამას არ დაეთანხმა. ახლაც ცდილობს იმის ჩვენებას, თითქოს თავისი მოსაზრებები აქვს.

– იქნებ მართლაც არ ეთანხმება ყველაფერში „ქართულ ოცნებას“?

– სალომე ზურაბიშვილი არ არის პრინციპული ადამიანი. მან ეს ბევრჯერ დაამტკიცა. ის ცდილობს, დასავლეთის კარი არ დახუროს. თუ შეატყობს, რომ „ქართულ ოცნებას“ ძალიან ცუდად წაუვიდა საქმე, მაშინ შეიძლება სხვანაირად მოიქცეს. ახლა მისი გულწრფელობის არ მჯერა.

– „ქართული ოცნების“ პოზიცია თუ გაირკვა ამ თემაზე? ამ პარტიის წარმომადგენლები ხან შეურიგებელ განცხადებებს აკეთებენ და ხან – შემრიგებლურს.

– „ქართული ოცნებაც“ არ გამოირჩევა პრინციპულობითა და სახელმწიფოებრივი ინტერესების გატარებით. აქ შეიყარა ხალხი, რომლისთვისაც უმთავრესია ფულის ზრდა და შენარჩუნება. ეს პარტია მოქმედებს რუსეთის მითითებების მიხედვით. ეს შეიძლება არაპირდაპირ ხდებოდეს. მითითებები სრულდება ივანიშვილის გავლით. შესაძლოა, რუსეთიდან მომავალი აბსოლუტურად ყველა ბრძანება ვერ შესრულდეს. არსებობს დასავლეთიც. საქართველოს ხელისუფლებას უწევს ამის გათვალისწინება, თუმცა ფაქტია, რომ „ოცნება“ თანდათან უფრო და უფრო შორდება დასავლეთს.

– ასე „3+3“-ის ფორმატშიც ხომ არ შეიყვანენ საქართველოს?

– თუ დასავლეთიდან და საქართველოს საზოგადოებიდან არ იქნება ძლიერი ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე, ეს ხელისუფლება ქვეყანას „3+3“-ის გაერთიანებაშიც შეიყვანს. ეს არის რუსეთისთვის სასურველი და დასავლეთისთვის არასასურველი ახალი ფორმატი. მასში საქართველოს შეყვანა ნიშნავს დასავლეთისთვის ზურგის შექცევას. ამიტომ დასავლეთი უნდა იყოს უფრო პრინციპული და მკაცრი. არც ჩვენი საზოგადოება უნდა დარჩეს გულგრილი. თუ ხელისუფლებას ბევრი რამ გაუვიდა, უარესს იზამს. ამ გაერთიანებაში შესვლა ადვილი არ იქნება, მაგრამ, თუ არ იქნება კონტროლი და ზეწოლა, შეიძლება, ესეც მოხდეს.

– ეროვნული თანხმობის ეგიდით დაწყებულ კონსულტაციებს დავუბრუნდეთ. მხარეებმა კიდევ რაზე უნდა იმსჯელონ?

– წელან მთავარზე გითხარით. რასაკვირველია, მესამე პრეზიდენტის გათავისუფლების საკითხის გარდა, საუბარი უნდა შეეხოს ყველანაირი პოლიტიკური დევნის დასრულებას. პოლიტიკური დევნა შეეხო მედიის წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს, აქტივისტებს. „ლელოს“ ლიდერების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესი სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური დევნა. ეს ყველაფერი უნდა შეწყდეს. რასაკვირველია, ადამიანის უფლებები დაკავშირებულია დამოუკიდებელ სასამართლოსთან. უნდა დაიწყოს ნამდვილი სასამართლოს ჩამოყალიბება. სასამართლოს გარდა, შეხვედრებზე უნდა განიხილებოდეს სამართლიანი არჩევნების ჩატარების აუცილებლობა. მიუხედავად იმისა, ცნობს თუ არა ყველა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგს, სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრები მაინც შესაძლებელია. დალაპარაკება პრობლემებზე ყველასთან შეიძლება. შეხვედრები საჭიროა, მაგრამ არა ნაძვის ხესთან და ცეკვა-თამაშის პირობებში. საახალწლო ზეიმი სხვა ელფერს აძლევს ქვეყანაში შექმნილ დრამატულ სიტუაციას.

„საქართველოში სათამაშო ბიზნესმა ბევრი ოჯახი დააზარალა“

ზურაბ ქადაგიძე: „სათამაშო ბიზნესის დამფუძნებლებთან პრეტენზია არ მაქვს. პრეტენზია მაქვს კანონთან“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკის ანალიტიკოსი, თბილისის საკრებულოს ყოფილი წევრი ზურაბ ქადაგიძე პასუხობს.

– ბატონო ზურაბ, როგორ აფასებთ პრემიერის ანგარიშს, როგორ მუშაობს მთავრობა?

– ძალიან დეტალური ანგარიში იყო, ძალიან ამბიციური გეგმები გახმოვანდა, თუნდაც ეკონომიკის თვალსაზრისით, რაც ძალიან კარგია.

– რა მოლოდინი გაგიჩნდათ?

– პირველ რიგში აღსანიშნავია სოციალურად დაუცველობის თემა, რაზეც ცოტა ხნის წინ პრემიერმა განაცხადა, რომ საჭიროა მოხდეს მათი (კარგი გაგებით) რესოციალიზაცია. ამ ადამიანებს შესაძლებლობები აქვთ, ასიათასობით სოცდაუცველიდან შეიძლება ყველა ქმედებაუუნარო არ არის.

– 200 ათასი სოცდაუცველი ქმედებაუნარიანიაო.

– დიახ. თუ ჩვენ გვინდა ეროვნული ეკონომიკისა და ეროვნული დოვლათის შექმნა, გარკვეული კატეგორია ვერ შექმნის დოვლათს. ეროვნული დოვლათის შექმნაში მოსახლეობის ქმედებაუნარიანი ნაწილის დაახლოებით 90% უნდა იყოს ჩართული. ცხადია, პენსიონერებზე, საპენსიო ასაკს მიღწეულ ხანდაზმულ ადამიანებსა და მოზარდებზე არ ვსაუბრობ.

თუ გვინდა, მზარდი, დინამიკური ეკონომიკა შევქმნათ, მოსახლეობის 90% უნდა ჩაერთოს დოვლათის შექმნაში. როდესაც ხელისუფლება და განსაკუთრებით პრემიერი ცდილობს ამ საკითხის წინ წამოწევას, რომ (სამწუხაროდ, ჩვენთან სოციალურად დაუცველები არსებობენ) ისინი ჩაერთვებიან სხვადასხვა საქმიანობაში და, ამავდროულად, სახელმწიფო სოციალურ დახმარებას არ მოუხსნის პირველ ეტაპზე, ეს ძალიან კარგია. ჩემთვის ეს გზავნილი განსაკუთრებული იყო.

მეორე საკითხია ფარმაცევტული ბაზრის რეგულაცია, რაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს. ეს ქვეყანა და თბილისი ძალიან პატარაა და ყველამ ყველაფერი ვიცით. სამწუხაროდ, ვიცით, არაკეთილსინდისიერი ბიზნესმენები როგორ შედიან სხვადასხვა გარიგებაში ერთმანეთთან და როგორ არის შექმნილი ე.წ. ფარმაკოლოგიური მაფია. ვფიქრობ, ეს ხელოვნურად გამოწვეული საკითხებია.

– ხელისუფლებას შეუძლია ფარმაკოლოგიური მაფია გაანეიტრალოს, ისინი ფინანსური თვალსაზრისით ხომ მონსტრები არიან?

– კი ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ უნდა შეეცადონ მაინც. ხელისუფლება აცხადებს, რომ საგაზაფხულო სესიებზე გაიტანს საკანონმდებლო პაკეტს (რომელიც მომზადების პროცესშია), რომ კანონში შევიდეს რამდენიმე რეგულაცია. თვითონ ის ადამიანები, რომლებიც ამ სფეროში საქმიანობენ, დაიწყებენ გზების ძიებას, რათა რაღაც ე.წ. ჩარჩოში მოექცნენ. ესეც აუცილებელია, გამომდინარე იქიდან, რომ პანდემიაა, ჯანმრთელობის რიგი საკითხები პრობლემურია, ჩვენ გვაქვს პრეტენზია საყოველთაო ჯანდაცვასა და ჯანდაცვის სერვისზე.

ხელისუფლება მომართულია, რომ გაიზარდოს ჯანდაცვის სერვისებსა და მოქალაქეებისთვის ფარმაცევტულ ბაზრებზე ხელმისაწვდომობა, რაც აუცილებელია.

– კიდევ რას საკითხს გამოყოფდით, რომელმაც თქვენი ყურადღება მიიქცია?

– ეს არის, მაგალითად, სათამაშო ბიზნესის რეგულაცია, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მე, პირადად, ამ საკითხზე 2014-15 წლებიდან ვმუშაობ. როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციაში ვიყავი, არაერთი წინადადებით მივმართე პარლამენტს, რომელიც გვპირდებოდა, კანონს გადავხედავთო. დაგვიანებით, მაგრამ დღეს პრემიერ ღარიბაშვილის მეთაურობით გადაწყვეტილება მიღებულია.

– მეუბნებოდნენ, თითქოს ამ საკითხზე „ოცნება“ და ოპოზიცია – ნაცები შეთანხმებული იყვნენ, რადგან არც ოპოზიცია იღებს ხმას და არც ხელისუფლებაო.

– ხელისუფლების პოზიცია გავიგეთ. ხელისუფლებამ თქვა, რომ გაზაფხულზე მიიღებენ კანონში ცვლილებებს. არ ვიცი, შეთქმულების თეორიაში არ მინდა შევიდე.

– ახლა ოპოზიციამ დაიწყო ღარიბაშვილის ამ გადაწყვეტილების კრიტიკა, ოპოზიციას სათამაშო ბიზნესის რეგულირება არ აწყობს.

– პოლიტიზება. დამიჯერეთ, პოლიტიზებაა. ამ საკითხს ძალიან კარგად ვიცნობ თავისი სტატისტიკითა თუ ადამიანური ტრაგედიების კონკრეტული მაგალითებით. ამ თემას პოლიტიკა რომ ჩამოვაშოროთ, ძალიან მარტივ

სურათამდე მივალთ. საქართველოში ათი ოჯახიდან 8 ოჯახს სათამაშო ბიზნესთან აქვს შემხებლობა. 5-6 ოჯახი სერიოზულადაა დაზარალებული.

ჩვენთან პრობლემა ასევე ისაა, რომ კანონმდებლობა 2005 წლის რედაქციით თარიღდება. 2005 წელს გაკეთდა უბრალო, ბუნდოვანი ჩანაწერი. იქ საუბარია მოსაკრებელსა და ლოკაციაზე, სად შეიძლება მოეწყოს სათამაშო სივრცეები. მეტი არაფერია ჩაწერილი. დამერწმუნეთ, 16 წლის შემდეგ, ალბათ, სისხლის სამართლის კოდექსს რომ გადახედო, ისიც შესავსები იქნება.

რა გახდა სათამაშო ბიზნესი, 2005 წლის შემდეგ ერთი ადამიანი არ გამოჩნდა, რომელიც ცვლილებების საჭიროებას დაინახავდა. ოდომანიამ დაღუპა ოჯახები. ახლა პრემიერმა გამოიჩინა ინიციატივა და გაზაფხულიდან ამ ბიზნესის რეგულაცია ხდება. ამ საკითხზე ვმუშაობ და ვიცი, რომ ნებისმიერ პატარას, რომელსაც კომპიუტერი აქვს, ისე შეუძლია აიღოს ჩვენი პირადობა და დარეგისტრირდეს რომელიმე სათამაშო ონლაინსაიტზე, ისე აწარმოოს ფინანსური გაცვლა-გამოცვლა, მე და თქვენ ვერაფერს გავიგებთ.

– უცხოელებს საქართველოში აქვთ სათამაშო ბიზნესები. მათ შორის ხომ არ არიან ის ადამიანები, რომლებმაც აქ ჩაიდინეს დანაშაულები და დიდი ფულით გაიქცნენ უცხოეთში?

– ნამდვილად არ ვიცი. არა მგონია, 21-ე საუკუნეში ბიზნესის წამოწყება, კომპანიის დაარსება და დაფუძნება გადაწყვიტოს ადამიანმა, რომელსაც კანონთან პრობლემა აქვს, განსაკუთრებით, როდესაც საქმე სათამაშო ბიზნესს ეხება, სათამაშო ბიზნესი მსოფლიო მასშტაბით იმ ბიზნესთა შორისაა, სადაც ზედმეტ გართულებებს ყველა ერიდება. მაქსიმალური გამჭვირვალობით მუშაობენ, ცხადია, თუ იატაკქვეშეთში არ არის, რაზეც ინფორმაცია არ მაქვს.

სათამაშო ბიზნესის დამფუძნებლებთან პრეტენზია არ მაქვს, მე პრეტენზია მაქვს კანონთან. ამიტომ, როდესაც ხელისუფლება გამოდის ინიციატივით, რომ აუცილებლად დაწესდება რეგულაციები, უკონტროლო თამაში გაკონტროლდება, რაც ჩემთვის მისასალმებელია. ამის იქით, რა კომპანიები არიან და ვინ არიან, თუ დანაშაულის რაიმე ნიშანი იკვეთება სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა დაინტერესდნენ.

– შეგვიძლია შევაფასოთ, როგორ მდგომარეობაში ჩაიბარეს ქვეყანა და რას მიაღწიეს?

– პირველი – ბიუჯეტი გაცილებით მეტია, ჯანდაცვასა და თავდაცვაზე გაცილებით მეტია გამოყოფილი. მნიშვნელოვანია პრემიერის წარმატებული საერთაშორისო ვიზიტები. ზოგადად, საქართველოს როლი, არა მხოლოდ კავკასიაში საინტერესოდ იქნა შეფასებული, არამედ გლობალური მასშტაბითაც. ესეც მოწმობს იმას, რამდენად ახლოსაა საქართველო გაცხადებულ კურსთან – დასავლეთთან და ევროატლანტიკურ ალიანსთან თუნდაც იმ გრანტებით, იმ დაფინანსებით, რომელიც ყოველთვის მოაქვს საქართველოს.

ეს პირდაპირპროპორციულად ნიშნავს იმ თანხვედრასა და იმ პოლიტიკურ სიმპათიებს ჩვენი მეგობარი სახელმწიფოებისა და სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან, რომლებთანაც ჩვენ გვაქვს ურთიერთობა, თუნდაც აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტში მონაწილეობა, როდესაც პოლიტიკურ დეკლარაციაში პირდაპირ ჩაიწერა, რომ საქართველო მიიღებს 2,3 მილიარდს, ასევე 17 მილიარდამდე ინვესტიციების მოზიდვა შეეძლება. საუბარია ენერგეტიკულ და სატრანსპორტო კომუნიკაციებზე, სტარტაპებსა და ახალგაზრდულ პროექტებზე.

ეს მაძლევს იმედსა და საფუძველს, რომ რეალურად დღეს საქართველო ახლოსაა თავის გეოპოლიტიკურ მიზანთან, დაიმკვიდროს თავი დასავლეთსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. ამაში ლომის წილი ხელისუფლებისაა. ხელისუფლება რომ არა, მიუხედავად ბევრი კრიტიკული დამოკიდებულებისა (მოქალაქეებს ბევრი რამ არ მოსწონთ, ბევრ რამეს ოპოზიცია აბუქებს და სპეკულაციურ განცხადებებს აკეთებს), ვხედავთ, რომ საქართველოში არის ხელისუფლება, რომლის დროსაც ქვეყანას მეზობელ სახელმწიფოებთან კონფლიქტი არ ჰქონია.

კერძოდ, რუსეთს ვგულისხმობ. დამოუკიდებელი საქართველოს 30-წლიანი არსებობის განმავლობაში არაერთი ომი გადახდა, რომელიც შეიძლება პროვოკაციით, შეიძლება მტრის მხრიდან მახეში გაბმით იყო გამოწვეული, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებებმა თავიდან აცილება ვერ მოახერხეს. „ოცნებამ“, ავად თუ კარგად, შეძლებისდაგვარად, გაწონასწორებულად, სტრატეგიულად სწორად გადადგა ნაბიჯები, რაც იწვევს იმას, რომ გაურკვეველ ვითარებაში არ ვართ.

საქართველოში ომიკრონის 2 შემთხვევა დადასტურდა

საქართველოში კორონავირუსის ახალი შტამის, ომიკრონის, 2 შემთხვევა დადასტურდა. ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ გუშინ, 20 დეკემბერს, ონლაინბრიფინგზე განაცხადა.

– ორივე საქართველოს მოქალაქეა, რომლებსაც მოგზაურობის ისტორია აქვთ აშშ-სა და ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, დუბაიში. ორივე იზოლირებულია. მიმდინარეობს 26 კონტაქტის კვლევა, – აღნიშნა გამყრელიძემ.

ეკონომისტი რამაზ გერლიანი გაუჩინარდა

ავჭალის პოლიციასთან მისი მანქანა იპოვეს

ეკონომისტი რამაზ გერლიანი გაუჩინარდა.

მისი კვალი ავჭალის პოლიციასთან ქრება, სადაც მისი ავტომობილი იპოვეს. გაუჩინარებამდე ეკონომიკური ტრანსპოფორმაციის ცენტრის პრეზიდენტი პოლიციელებს ტერორში ადანაშაულებდა.

„გაფარჩაკებული, პატივაყრილი და ღირსებაშელახული ვარ! შიგნიდან მწვავს ყველა სისხლძარღვი... ყოველი სუნთქვა, თვეზე მეტია, წამებად მექცა“, – წერს ის ფეისბუქპოსტში, რომელიც 19 დეკემბერს, დილის 8:40 საათზე გამოაქვეყნა.

გერლიანის თქმით, სამართალდამცავებმა მისი ოჯახის წევრების დაშინება ცადეს.

ასევე, იგი აქვეყნებს ინფორმაციას შსს-ს თანამშრომლის, გიორგი გოგნიაშვილის, შესახებ, რომელიც, მისივე მტკიცებით, პოლიციის მუნდირის გამოყენებით აგროვებდა ინფორმაციას, როგორც საპოლიციო სისტემით ასევე სხვადასხვა საშუალებით.

„რახან ამ პოსტს კითხულობთ, ... მთლად კარგად არ არის საქმე.

რადგან ახლა უკვე ყველაფერი სულ ერთია....

– იცნობდეთ ამ ნაგავ ბოზის გაზრდილ ბარიგას...

– გაფარჩაკებული, პატივაყრილი და ღირსებაშელახული ვარ! შიგნიდან მწვავს ყველა სისხლძარღვი... ყოველი სუნთქვა, თვეზე მეტია, წამებად მექცა.

ამ ნაგავმა „პოლიციელმა“ ჩემივე ყოფილი ოჯახის წევრის დავერბოვკებითა და გამოყენებით მოახერხა ჩემს კერძო საკუთრებაში, ჩემს სამუშაო და ჩემი შვილების სამყოფელ სივრცეში ვირთხასავით შემოღწევა....

14 ნოემბერს შეიარაღებული დამხვდა ჩემს ბინაში, თავხედურად, ცრუ მოტივით დაკითხვა მომიწყო, მომაყენა შეურაცხყოფა... განადგურებული ვარ!“ – წერს ფეისბუქში რამაზ გერლიანი.

გუშინ, 20 დეკემბერს, ავჭალის პოლიციის სამმართველოსთან რამაზ გერლიანის გაუჩინარებასთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა.

ექსპერტ-კრიმინალისტებმა შესაბამისი პროცედურები გერლიანის ავტომობილს ჩაუტარეს, რომელიც მან ავჭალის სამმართველოს წინ, სადგომზე დატოვა.

რამაზ გერლიანის ძმის განცხადებით, რჩება შთაბეჭდილება, რომ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები ხელს აფარებენ პოლიციელს, რომელიც მისი ძმის ფეისბუქპოსტშია მითითებული.

მისივე ინფორმაციით, რამაზ გერლიანის განცხადება, რომელშიც ის შსს-ს თანამშრომელ გიორგი გოგნიაშვილს შანტაჟსა და კერძო საკუთრებაში შეჭრაში ადანაშაულებდა, სოციალური ქსელიდან გამქრალია, თუმცა უცნობია, ის ვინ წაშალა.

– ახლა ვიმყოფები სამართველოსთან, ჩემი ძმის მანქანაზე მუშაობენ ექსპერტ-კრიმინალისტები, ანაბეჭდებს იღებენ და სხვა პროცედურებს გადიან. მიმდინარეობს ოჯახის წევრების და ახლობლების დაკითხვა. მოქმედებები მიდის, მაგრამ მაინც მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელს აფარებენ პოლიციელს, რომელიც ჩემი ძმის პოსტში არის მითითებული.

სოციალური ქსელიდან ჩემი ძმის პოსტიც გაქრა. თუ ამაში ძალოვნების ხელი ურევია, ესეც კიდევ ერთი დანაშაულია. ვერ გეტყვით, ვინ წაშალა და ვისი ხელი ურევია, – აღნიშნა რომანოზ გერლიანმა.

თემურ ალასანია სასამართლოში დაკითხვაზე არ გამოცხადდა

„ის საქართველოში არ იმყოფება“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბიძა, თეიმურაზ ალასანია, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში მოწმის სახით იყო დაკითხვაზე დაბარებული, სასამართლოში არ გამოცხადდა.

როგორც პროკურორმა მიხეილ სადრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, თემურ ალასანია საქართველოში არ იმყოფება, რის გამოც სასამართლომ საკითხი განუხილველად დატოვა.

მიხეილ სადრაძის განმარტებით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებული დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება სსკ-ის 180-ე და 194-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

პროკურორის თქმით, სწორედ ამ საქმესთან დაკავშირებით იქნა დაბარებული თეიმურაზ ალასანია.

მისი თქმით, საქმე ეხება 2012 წლამდე პერიოდში ხელოვნურად შექმნილი სამართლებრივი პრობლემის მოგვარებისა და იმ დროინდელი ხელისუფლებასთან ურთიერთობის დარეგულირების სანაცვლოდ ერთ-ერთი ბიზნესმენისგან 1 მლნ აშშ დოლარის თაღლითურად, მოტყუებით დაუფლების და ამ თანხის სავარაუდო გათეთრების ფაქტს.

– სწორედ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოკითხვაზე დაბარებული იქნა თეიმურაზ ალასანია მიმდინარე წლის 20 დეკემბერს, თუმცა, მან უარი განაცხადა საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებაზე. შესაბამისად, მისი უარი იყო ის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც ბრალდების მხარემ მივმართეთ სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მისი დაკითხვის შუამდგომლობით. ეს შუამდგომლობა სასამართლომ დააკმაყოფილა.

20 დეკემბრის სხდომაზე წესით და რიგით უნდა მომხდარიყო მისი მოწმის სტატუსით დაკითხვა. თუმცა ის სასამართლოში არ გამოცხადდა. შესაბამისად, ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება სასამართლოს მიეღო, იყო ის, რომ ეს საკითხი განუხილველად დატოვა.

ვიდრე ეს პროცესი განხორციელდებოდა, ბუნებრივია, ჩვენ მოწმესთან, მის ადვოკატთან გვქონდა კომუნიკაცია, ეს იყო 18 დეკემბერს. მასთან კომუნიკაციის შესაბამისად შემოვიტანეთ შუამდგომლობა, ვინაიდან, ვიცოდით, რომ ის დღეს, წესით, საქართველოში უნდა ყოფილიყო და მონაწილეობა უნდა მიეღო დაკითხვაში. თუმცა ფაქტია, რომ არ არის სასამართლოში. აქედან გამომდინარე, ეს მოცემულობაა მხოლოდ. ფაქტია, რომ დღეის მოცემულობით არ არის საქართველოში. თუმცა, ბუნებრივია, ბევრი კითხვა არსებობს თეიმურაზ ალასანიასთან. შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ გვექნება შესაძლებლობა სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით დაისვას ყველა ლეგიტიმური კითხვა მის წინაშე და მოვისმინოთ შესაბამისი პასუხები, – აცხადებს მიხეილ სადრაძე.

აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცეპრეზიდენტი დააკავეს

საქართველოს პროკურატურამ, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ააიპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მართლსაწინააღმდეგო მითვისებისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება/გამოყენების ფაქტზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცეპრეზიდენტი დააკავა.

პროკურატურის ინფორმაციით, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში, თანადაფინანსების ხელშეკრულება გაფორმდა „სოფლის განვითარების სააგენტოსა“ და შპს „მედერს“ შორის, რომლის საფუძველზე „სოფლის განვითარების სააგენტოს“ მიერ ლურჯი მოცვის ნერგების შეძენის დანიშნულებით შპს „მედერის“ კუთვნილ საბანკო ანგარიშზე 116.460 ლარი ჩაირიცხა. აღნიშნული თანხა არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა უნდა გადარიცხულიყო პოლონური კომპანიის საბანკო ანგარიშზე.

თანხის თითქოსდა დანიშნულებისამებრ წარმართვის საჩვენებლად, შპს „მედერის“ მინდობილი პირის – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს სსიპ „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოს“ იმჟამინდელი უფროსის მიერ წარდგენილ იქნა მის მიერვე დამზადებული ყალბი საგადახდო დავალება, რომლის თანახმად, თითქოს შპს „მედერის“ კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან 31.325 ევრო გადაირიცხა პოლონური კომპანიის საბანკო ანგარიშზე.

რეალურად კი სააგენტოს მიერ შპს „მედერის“ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული 116.460 ლარიდან ბრალდებულმა მითვისების განზრახვით ორ ტრანშად – 84.000 ლარი ფიქტიური დანიშნულებით გადარიცხა შპს „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოს“ იმჟამინდელი უფროსისთვის სანდო კერძო მეწარმე სუბიექტის ანგარიშზე, ხოლო 29.200 ლარი საბანკო ანგარიშიდან პირადად გამოიტანა და დაეუფლა.

გარდა ამისა, როგორც პროკურატურაში აღნიშნავენ, ბრალდებულის დავალებით, „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოს“ იმჟამინდელ უფროსთან შეთანხმებით, სახელმწიფოს კუთვნილი თანხების თაღლითურად დაუფლების მიზნით, მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი მეწარმე სუბიექტების საბანკო ანგარიშებზე ფიქტიური დანიშნულებით გადაირიცხა სხვადასხვა ოდენობის თანხები.

უწყების ცნობით, დაკავებულს ბრალდება 2021 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით.

ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

როგორც პროკურატურაში განმარტავენ, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების პროცესში, ასევე, დაკავებულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს სსიპ „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოს“ უფროსი და ამჟამად თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი ბრალდების საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს.

ასევე, ამავე საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 კერძო სამეწარმეო სუბიექტის ხელმძღვანელების მიმართ.

„სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა დადგენისა და გამოვლენის მიზნით“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

პროკურატურა გერმანიას გიგი კალანდაძის გადმოცემის მოთხოვნით მიმართავს

გენერალური პროკურატურა საქართველოს გენშტაბის ყოფილი უფროსის მოადგილის გიგი კალანდაძის გერმანიაში დაკავებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც უწყების განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოს გენერალური პროკურატურა გერმანულ მხარეს გიგი კალანდაძის საქართველოში ექსტრადიციის თაობაზე შუამდგომლობით მიმართავს.

მისივე განმარტებით, საქმე ეხება 2012 წლის ივლისში ტერორისტული აქტის მომზადების აღიარების მიზნით დაკავებული პირის წამებას.

„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა ბერლინის აეროპორტში საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი გიორგი კალანდაძე 2021 წლის 19 დეკემბერს დააკავეს. გიორგი კალანდაძე ე.კ.-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამების ბრალდებით, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და 144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილით სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2012 წლის ივლისში საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დავით ახალაიამ, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ გიორგი კალანდაძემ, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა მეგის ქარდავამ და შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს უფროსმა რომან შამათავამ ერთობლივად განიზრახეს ე.კ.-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთა და წამების გზით მისგან ტერორისტული აქტის მომზადების აღიარება.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მათი დავალებით 2012 წლის 28 ივლისს საქართველოს შს სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა ზუგდიდში უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება ე.კ.-ს და ხელბორკილებით, ნიღაბჩამოცმული, თბილისში მდებარე სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში გადაიყვანეს.

2012 წლის 29 ივლისს დავით ახალაიამ, გიორგი კალანდაძემ, მეგის ქარდავამ და რომან შამათავამ, სამხედრო პოლიციის შენობაში, ტერორისტული აქტის მომზადების აღიარების მოთხოვნით რამდენიმე საათის განმავლობაში აწამეს ე.კ. წამებისა და ცემის დროს მას არაერთხელ დაასხურეს წიწაკის მხუთავი აირი და გაგუდვის ინსცენირების მიზნით თავზე პოლიეთილენის პარკი ჩამოაცვეს. ე.კ.-მ სასტიკად წამების შემდეგ გონება დაკარგა, თუმცა მისთვის სამედიცინო დახმარებაც კი არ აღმოუჩენიათ.

წამების შემდეგ ე.კ. შენობის ერთ-ერთ ოთახში უმწეო მდგომარეობაში რამდენიმე დღე იმყოფებოდა. გიორგი კალანდაძის მიმართ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას თორმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე ვადით. საქართველოს გენერალური პროკურატურა გერმანულ მხარეს ძებნილი პირის საქართველოში ექსტრადიციის თაობაზე შუამდგომლობით კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ვაზისუბანში აფეთქების შედეგად 43 წლის მამაკაცს სხეულის 60% აქვს დამწვარი

ვაზისუბანში აფეთქების შედეგად დაშავებული ოთხი პირიდან ერთს სხეულის 60%-იანი დამწვრობა აღენიშნება.

ხეჩინაშვილის სახელობის დამწვრობის ცენტრის ექიმ თეა ურუტაძეს განცხადებით, 43 წლის მამაკაცის მდგომარეობა მძიმეა და ის რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

– შემოვიდა პაციენტი, 43 წლის მამაკაცი, დიაგნოზია სხეულის 60%-იანი თერმული დამწვრობა, დამწვრობითი შოკი, სასუნთქი გზების დამწვრობა. დაწყებული აქვს ანტიშოკური მკურნალობა, მოთავსდა რეანიმაციის განყოფილებაში. ამ წუთისთვის მისი მდგომარეობა არის მძიმე, – აღნიშნა თეა ურუტაძემ.

რაც შეეხება დანარჩენ სამ დაშავებულს, რომლებმაც ინტოქსიკაცია მიიღეს, ისინი სტაციონარში მოთავსდნენ და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

19 დეკემბერს, საღამოს, ვაზისუბნის დასახლებაში, მე-15 კორპუსში, პირველ სართულზე, აფეთქება მოხდა, რამაც ხანძარი გამოიწვია.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლის ინფორმაციით, აფეთქება კორპუსში პირველ სართულზე ბუნებრივი აირის დაგროვების შედეგად მოხდა.

ვაზისუბანში არასრულწლოვნებმა სუპერმარკეტი დააყაჩაღეს

ვაზისუბანში 20 დეკემბერს, გამთენიისას, ყაჩაღობა მოხდა – არასრულწლოვნებმა სუპერმარკეტი „ზღაპარი“ დააყაჩაღეს. წაღებულია დიდი ოდენობით თამბაქო. ადგილზე საგამოძიებო მოქმედებები უკვე ჩატარდა. სამართალდამცველებმა კამერების ჩანაწერები უკვე ამოიღეს.

ბოლნისში ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვეს

ბოლნისში ახალგაზრდა ქალი გარდაცვლილი იპოვეს – სოფელში თვითმკვლელობის ვერსიაზე საუბრობენ. ირკვევა, რომ ქალი ერთი თვის წინ გათხოვდა. ქალის ცხედარი ახლობელმა სოფელ ცურტავში წყლის არხში იპოვა.

მომხდარის სხვა დეტალები ამ დროისთვის არ ვრცელდება.

ჩილეს პრეზიდენტი გაბრიელ ბორიჩი გახდა

ჩილეში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მემარცხენე კანდიდატმა გაბრიელ ბორიჩმა ულტრა-მემარჯვენე კონკურენტი, ხოსე ანტონიო კასტი, დაამარცხა.

არჩევნების წინასწარი შედეგების თანახმად, ბორიჩმა არჩევნებში – ხმების 56%, კასტმა კი 44% მოიპოვა.

– ვაპირებ, ყველა ჩილელის პრეზიდენტი ვიყო, – განაცხადა ბორიჩმა, რომელიც პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას ოფიციალურად მარტიდან შეუდგება.

გაბრიელ ბორიჩის გამარჯვება სანტიაგოს ქუჩებში ათასობით მისმა მხარდამჭერმა იზეიმა.

ჩილეში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის გამართვა მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც პირველ ტურში ორივე კანდიდატმა ხმების 30%-ზე ნაკლები დააგროვა.

ლიეტუვის თავდაცვის მინისტრი: „უკრაინას იარაღი უნდა მივაწოდოთ“

ლიეტუვის თავდაცვის მინისტრი არვიდას ანუშაუსკასი აცხადებს, რომ ნატომ უკრაინას ყველა საშუალებით უნდა დაუჭიროს მხარი.

– საჭიროა, უკრაინას ყველა საშუალებით დავუჭიროთ მხარი, მათ შორის ლეტალური იარაღის მიწოდებით, – განაცხადა ანუსაუსკასმა გერმანელ კოლეგა კრისტინ ლამბრეხტთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რა სახის იარაღს გულისხმობდა.

ამასთან, ლიეტუვის თავდაცვის მინისტრმა რუსეთი ალიანსში უთანხმოების ჩამოგდების მცდელობაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ნატომ არ უნდა მისცეს მოსკოვს უფლება, ევროპა გავლენის სფეროებად დაყოს.

ისრაელიდან აშშ-ში და კიდევ 9 ქვეყანაში გამგზავრება იკრძალება

ისრაელის მოქალაქეები აშშ-ში, გერმანიაში, იტალიაში, ბელგიაში, უნგრეთში, მაროკოში, პორტუგალიაში, კანადაში, შვეიცარიასა და თურქეთში გამგზავრებას სპეციალური ნებართვის გარეშე ვერ შეძლებენ.

მედიის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრ ნაფტალი ბენეტის ოფისის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილების მიზეზი კორონავირუსის „ომიკრონ“ ვარიანტის გავრცელების პრევენციაა.

შეზღუდვა 22 დეკემბრიდან ამოქმედდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისრაელის მოქალაქეებს, საერთო ჯამში, მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში გამგზავრება ექნებათ აკრძალული.

ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყანაში ამ დრომდე „ომიკრონ“ ვარიანტის 134 დადასტურებული და კიდევ 307 საეჭვო შემთხვევაა გამოვლენილი.

ფილიპინებში შტორმის შედეგად 208 ადამიანია დაღუპული

ფილიპინებში შტორმის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 208-მდე გაიზარდა.

დაშავებულია 230-ზე მეტი ადამიანი, ამ დრომდე ეძებენ 52 ადგილობრივს.

სტიქიის ზონაში დაზარალებულების დასახმარებლად ათასობით სამხედრო და მეხანძრეა მობილიზებული. სამაშველო სამუშაოებში მოხალისეებიც მონაწილეობენ. ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი მოსახლეობის დიდი ნაწილი. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სტიქიის შედეგად მიღებული ზარალი 4 მილიონ დოლარს აჭარბებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განქორწინებულმა წყვილმა ხელმეორედ დაქორწინება გადაწყვიტა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სანდიეგოს მკვიდრმა წყვილმა, რომელსაც განქორწინება 100 ათასი დოლარი დაუჯდა, გადაწყვიტა, ბედი მეორედ ეცადა და ისევ დაქორწინდნენ.

32 წლის ბრიტანი და ვაილანდ საბოებმა ერთმანეთი მოზარდ ასაკში ალკოჰოლდამოკიდებულთა სარეაბილიტაციო ცენტრში გაიცნეს. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და 2011 წელს იქორწინეს.

მათი ურთიერთობა ვითარდებოდა და მალე სამი ბავშვის მშობლები გახდნენ, თუმცა, ბრიტანის აღიარებით, ბავშვების გაჩენის შემდეგ მათ ურთიერთობას ბზარი შეეპარა და წყვილი ისევ ალკოჰოლს მიეძალა.

– თუმცა ეს მხოლოდ ალკოჰოლის გამო არ ყოფილა, ბევრი სხვა რამეც იყო, რომელიც ჩვენ ურთიერთობას ამსხვრევდა. ერთმანეთზე მეტისმეტად ვიყავით დამოკიდებული და ამაში კარგი არაფერი იყო, – აღნიშნა ქალმა. 2019 წელს წყვილმა განქორწინებაზე შეიტანა განცხადება და განქორწინების პროცესთან ერთად ქონების გაყოფის პროცესიც დაიწყო.

ქმართან დაშორების შემდეგ ბრიტანი სმას აგრძელებდა და შედეგად ფსიქიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ქალმა ბავშვებზე ზრუნვის უფლება დაკარგა. შვილები საბოლოოდ რომ არ დაეკარგა, ქალი მშობლებთან დაბრუნდა, სმას თავი დაანება და ფსიქიატრთან დაიწყო სიარული. აღსანიშნავია, რომ ვაილანდი მთელი ამ ხნის განმავლობაში ცდილობდა, გვერდში ამოსდგომოდა ყოფილ მეუღლეს, სულ უფრო მეტ დროს ატარებდა მის გვერდით და ერთ დღესაც ურთიერთობის განახლების გადაწყვეტილება მიიღეს ოჯახის ხელმეორედ შესაქმნელად.

ბავშვმა მამისთვის სამსახურში შემთხვევით დიდი თანხის ტკბილეული შეუკვეთა

ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში ხუთი წლის ბიჭმა შემთხვევით მამის სახელით ნაყინის მაღაზიაში დიდი ოდენობით ტკბილეული შეუკვეთა.

ბავშვმა მამის ტელეფონით ითამაშა და შემთხვევით სპეციალური დანართით იტალიურ სანაყინეს 1200 ავსტრალიური დოლარის შეკვეთა გაუგზავნა. შეკვეთა გაფორმდა მამის სამუშაო მისამართზე. როდესაც მძღოლმა შეკვეთა ადგილზე მიიტანა, უხერხული მომენტი შეიქმნა.

ბავშვის მამა იძულებული გახდა, შეკვეთის, რომელშიც შედიოდა იტალიური დესერტი დულსე დე ლეჩე, ნამცხვრები, კანფეტები და ბოთლი რძე, ფული გადაეხადა.

მამაკაცს წლების განმავლობაში ერთისა და იმავე ციფრების გამოყენებამ მილიონები მოუტანა

ამერიკის მიჩიგანის შტატის უოშტენოს ოლქის მცხოვრები მამაკაცი რამდენიმე წლის განმავლობაში ლატარიას ერთი და იმავე ციფრებით თამაშობდა და, ბოლოს და ბოლოს, ჯეკპოტი მოხსნა.

62 წლის ჯეფრი ფილიპსმა ლატარიის ბილეთი ქალაქ ჩელსის მაღაზიაში იყიდა და მასში იგივე ციფრების კომბინაცია ჩაწერა, რომელსაც ოთხი წლის განმავლობაში ყოველ კვირას წერდა ლატარიის ბილეთში.

– გათამაშების შემდეგ შევამოწმე ამოსული ციფრები და ჩაწერა დავიწყე. რამდენიმე ციფრის შემდეგ გავიფიქრე: „დაიცადე, რა ნაცნობი ციფრებია“, – იხსენებს ამერიკელი. შედეგად მისმა მოგებამ ორი მილიონი დოლარი შეადგინა.

– როდესაც მივხვდი, რომ მოვიგე, ცოლს დავურეკე და ბილეთის სანახავად მივიწვიე. ორივე გაოგნებული დავრჩით. დღემდე ვერ დაგვიჯერებია, რომ დიდი თანხა მოვიგეთ, – ხაზგასმით აღნიშნა ლატარიის გამარჯვებულმა.

მამაკაცი მოგებული თანხით ახალი სახლისა და ავტომობილის ყიდვას აპირებს.

ძაღლის უცნაურმა ქცევამ ბავშვი დაღუპვას გადაარჩინა

სოციალურ ქსელ ტვიტერის მომხმარებელმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ გადაარჩინა მათი ოჯახის საყვარელმა შინაურმა ძაღლმა თავისი უცნაური ქცევით პატარა გოგონა.

კელი ენდრიუს თქმით, მისი ძაღლი, სახელად ჰენრი, დაჟინებით ცდილობდა საბავშვო ოჯახში შეჭრასა და გოგონას გაღვიძებას. თავდაპირველად ოჯახის წევრები ვერ მიხვდნენ ძაღლის ქცევას და მასზე გაბრაზდნენ, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, მშობლებმა გადაწყვიტეს, ბავშვის ოთახში შესულიყვნენ და შენიშნეს, რომ მათი გოგონა აღარ სუნთქავდა. ცხოველი ცდილობდა, ბავშვი გადაერჩინა.

– ღამე საავადმყოფოში გავატარეთ. არ ვიცი, რა მოხდებოდა, ძაღლს რომ არ გავეღვიძებინეთ. ჩვენ მას არ ვიმსახურებთ, – ხაზგასმით აღნიშნა ენდრიუმ. მოგვიანებით ქალმა განაცხადა, რომ ბავშვი თავს გაცილებით უკეთ გრძნობს და ოჯახი სახლში დაბრუნდა.

მამაკაცმა უნიკალური სამკაული იპოვა

ბრიტანეთის უელსში მოყვარულმა განძის მაძიებელმა უნიკალური შუა საუკუნეების ზურმუხტისთვლიანი გულსაბნევი იპოვა. ექსპერტების აზრით, მისმა ღირებულებამ, შესაძლოა, 100 ათას ფუნტ სტერლინგს მიაღწიოს. 44 წლის დევიდ ედვარდმა ეს აღმოჩენა იმ დროს გააკეთა, როდესაც საკუთარი სახლის შორიახლოს ნაკვეთს ლითონის მაძიებელი მოწყობილობით ათვალიერებდა.

– უკვე საღამო იყო, ნისლიანი ამინდით, – იხსენებს მამაკაცი, – საძიებლად სამსახურის შემდეგ გავედი, როდესაც მზის ჩასვლამდე დაახლოებით ერთი საათი იყო დარჩენილი. ამიტომ სასწაულს არ ველოდი.

თუმცა ძებნის დაწყებიდან სულ რაღაც ნახევარ საათში მისი ლითონმაძიებელი ხელსაწყო ამოქმედდა.

ექსპერტების შეფასებით, ძვირფასეულობა XIII საუკუნეში იყო დამზადებული და, დიდი ალბათობით, წარჩინებულ პირს ეკუთვნოდა.

– მისი უნიკალურობიდან გამომდინარე, რთულია საბოლოო ღირებულების დასახელება, – ამბობს ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის რედაქტორი ჯულიან ევან-ჰარტი, – ბაზარზე არ შეგვხვედრია რაიმე მსგავსი, რისი მასთან შედარებაც შესაძლებელი იქნებოდა. ის მინიმუმ 10 ათას ფუნტად გაიყიდება, თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ მისმა ფასმა 100 ათას ფუნტ სტერლინგამდე მიაღწიოს.

ნავში მჯდომი ქალი ნიანგის თავდასხმას გადაურჩა

ავსტრალიის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე ნიანგი თავს დაესხა ქალს, რომელიც ნავში იმყოფებოდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა. რეპტილიის თავდასხმის დროს ქალი ნავში იმყოფებოდა.. მან წყალში ნიანგი შენიშნა და გადაწყვიტა, ტელეფონზე გადაეღო. მტაცებელი ცხოველი ახლოს მიცურდა ნავთან და რაღაც დროის განმავლობაში ქალს უყურებდა, შემდეგ კი მოულოდნელად ამოხტა და შეეცადა, მისთვის ეკბინა. ქალმა უკან, უსაფრთხო მანძილზე გადაწევა მოასწრო. თავდასხმის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ნიანგი წყლის სიღრმეში გაუჩინარდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ამერიკული მედია ლაშა ტალახაძეს სუპერვარსკვლავად მოიხსენიებს

ამერიკულმა მედიაკორპორაცია ფოქსმა ლაშა ტალახაძის შესახებ სტატია გამოაქვეყნა, რომლის სათაურია – „მსოფლიოს უძლიერესი ადამიანი ნამდვილი ანომალიაა“.

აი, რა წერია ლაშაზე...

– ლაშა ტალახაძე საკუთარ სტიქიაშია, დიდ სიმძიმეებს ისე იტაცებს, თითქოს ძალიან მარტივი იყოს. ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ ქართველმა ძალოსანმა საკუთარი სახელი სუპერვარსკვლავად დაამკვიდრა, ატაცსა (223) და აკვრაში (265) მსოფლიო რეკორდები დაამყარა, ოქროს მედლის მოიპოვა და ძალოსნობის ოლიმპიურ ისტორიაში საუკეთესო შედეგი დააფიქსირა. თუმცა, ეს მხოლოდ შესავალი იყო.

ძალოსნობის მსოფლიო ჩემპიონატზე ტალახაძემ ატაცში აწეული 225 და აკვრაში დაფიქსირებული 267 კილოგრამით ახალი რეკორდები დაამყარა. საერთო ჯამში 492 კილო ასწია, საკუთარი შედეგი ოთხი კილოგრამით გააუმჯობესა და მეორე ადგილზე გასულ ვარაზდატ ლალაიანს 35 კილოთი აჯობა. გორ მინასიანი, რომელმაც ტალახაძე ბოლოს ცხრა წლის წინ დაამარცხა, მესამეზე გავიდა და მსოფლიოს უძლიერეს ადამიანს 44 კილოგრამით ჩამორჩა.

ტალახაძის ფანტასტიკურ შედეგებს მმა-ს ანალიტიკოსი ლიუკ ტომასი გამოეხმაურა.

– ტალახაძე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ახლოსაა მითური 500 კილოგრამის აწევასთან. ეს იმდენად გამაოგნებელი რიცხვია, რომ მას მხოლოდ რვა კილოგრამი აკლია და ტალახაძეს ამის გაკეთება ნამდვილად შეუძლია. ტალახაძემ მიზანში პარიზის 2024 წლის ოლიმპიადა ამოიღო და იქ გამარჯვება მთავარ მიზნად დაასახელა. საფრანგეთის დედაქალაქია ის ადგილი, სადაც ის 500 კილოგრამის აწევას შეეცდება, რომელიც ისეთივე მაგიური მაჩვენებელია, როგორიც მარათონის 2 საათში დასრულება.

ვერა პირველზე გადავიდა, ქუთაისმა პირველად წააგო

დინამო-ვერა 92:101
(24:22, 22:27, 21:30, 25:22)

სუპერლიგას ახალი ლიდერი ჰყავს. ვერას ყველაზე მეტი ქულა აქვს. 7 მოგებითა და 2 მარცხით დავით გასიტაშვილის გაწვრთნილი გუნდი პირველ ადგილზეა. თუმცა, დაკარგული ქულებით, 8 მატჩიდან 7 მოგებით, კვალში ქუთაისი და თსუ უდგანან.

ვერელებს დი ნამოს დამარცხება არ გასჭირვებიათ. უბრალოდ, გასიტაშვილის გუნდს დრო დასჭირდა, სანამ მეტოქის თამაშს შესაბამის ტაქტიკას დაუპირისპირებდა. ჟოლივეტ ტუჯანის გაწვრთნილმა დინამოელებმა პირველი პერიოდი 24:22 მოიგეს, მეორეში ლიდერობა ვერ შეინარჩუნეს და დიდი შესვენებისთვის 3 ქულით ჩამორჩნენ.

მესამე პერიოდიდან ვერელთა უპირატესობა აშკარა გახდა. სწრაფი შეტევები, შორი სროლები და საიმედო დაცვა – ამ ყველაფერმა ის შედეგი მოიტანა, რომ ვერა მე-3 პერიოდის მე-7 წუთზე 17 ქულით – 77:60 დაწინაურდა. ეს თითქმის გამარჯვებას ნიშნავდა, თუმცა დინამოელებმა გაიბრძოლეს და მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირეს – 85:90. აქ კი ვერელებმა ისევ მოინდომეს – ბორის თორთლაძის 2 ორქულიანითა და ზაკ ელიასის გარღვევით უპირატესობა კვლავ 10 ქულამდე გაზარდეს და მატჩის ბედიც სათავისოდ გადაწყვიტეს.

გამარჯვებულებს 27 ქულითა და 12 მოხსნით ზაკ ელიასმა ულიდერა. 18 ქულა – ობრი მაკალპინმა, ხოლო 16 დარელ ბრაუნმა მიითვალა. დინამოელთაგან 26 ქულით საუკეთესო იყო ვლადიმერ თავაქარაშვილი. 23 ქულა დანტე ტომპსონმა მიითვალა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

● საახალწლო აქცია – სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ვერა პირველზე გადავიდა, ქუთაისმა პირველად წააგო

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ტიტები-ქუთაისი 91:79
(16:24, 19:18, 25:19, 31:18)

სუპერლიგაში წაუგებელი გუნდი აღარ დარჩა. გათამაშების ლიდერი ქუთაისი, რომელსაც ამ ტურამდე 7 მატჩიდან 7 გამარჯვება ჰქონდა, პირველი დამარცხება განიცადა. ეს საგმირო საქმე საკალათბურთო კლუბმა ტიტებმა გააკეთა, რომელიც სუპერლიგის ცხრილის ქვედა ნახევარში იყო და ამ გამარჯვებით მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა.

ტიტებმა უხეირო სტარტის შემდეგ სუპერლიგაში ძალები მოიკრიბა. ლეჟავას გუნდმა წინა ტურში რუსთავში იმარჯვა, ახლა კი, გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ ქუთაისს პირველი მარცხი აგება. არადა, თამაში ისე დაიწყო, ამ შედეგს არაფერი მოასწავებდა. ქუთაისელებმა სტაბილურად დაიწყეს თამაში და პირველი პერიოდის შემდეგ 8 ქულით ლიდერობდნენ – 24:16.

დიდ შესვენებამდე ბევრი არაფერი შეცვლილა. ტიტების მოთამაშეებმა ჩამორჩენა 1 ქულით შეამცირეს და მეორე ნახევრიდან საქმეს ხელი მეტი შედეგიანობით მოჰკიდეს. გამართული დაცვითი ტაქტიკით ტიტებმა ქუთაისელთა შეტევები შეაჩერეს და კონტრშეტევების ჩამორჩენის გაბათილება იწყეს. ბოლო პერიოდის წინ ბესო ლეჟავას გუნდი მხოლოდ 1 ქულას აგებდა და მალე ლიდერობასაც დაეპატრონა. ზედიზედ მითვლილი ქულების წყალობით ტიტებმა 8-ქულიანი ლიდერობა მოიპოვა.

ქუთაისის მთავარმა მწვრთნელმა კოტე ტულუშმა წუთშესვენება რამდენიმეჯერ აიღო, მაგრამ ვერაფერი შეცვალა. თამაში ისე ჩამთავრდა, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა. ტიტებმა გამარჯვება მოიპოვა – 91:79 და ცხრილში 4-4 მოგებ-წაგებით მე-5 ადგილზე გადაინაცვლა.

გამარჯვებულებს 26 ქულით, 8 პასითა და 7 მოხსნით ისააკ ასრატმა ულიდერა. 21 ქულა და 10 მოხსნა ჯავიონ ოგუნიემის ანგარიშზეა. 15 ქულა ლევან ბაბილოძემ მიითვალა. ქუთაისელთაგან 19 ქულით საუკეთესო იყო ჯარვის რეი, გიორგი კორსანტიას ანგარიშზე კი 17 ქულა დაგროვდა.

ჰაპტუსი-თსუ 59:77
(13:19, 24:8, 13:21, 9:29)

ქუთაისის პირველი მარცხით ისარგებლა და კაკტუსის ძლევის შემდეგ თსუ პოტენციურ ლიდერს გაუთანაბრდა. ლექსო ლაფანაშვილის გუნდმა 2 განსხვავებული ტაიმი ითამაშა და საბოლოოდ 18 ქულის სხვაობით – 77:59 იმარჯვა. თსუ-სა და ქუთაისს 7 მოგება და 1 მარცხი აქვთ, მაგრამ პირადი მოგების ხარჯზე იმერული კლუბი წინაა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდისთვის მოგება იოლად არ მოსულა. საბოლოოდ 18-ქულიანი უპირატესობით იმარჯვა. თუმცა პირველ ნახევარში თსუ-ს საქმე რთულად ჰქონდა. ლაფანაშვილის გუნდს შორი სროლები არ წაუვიდა, ვერც დაცვაში იყო ჩაღა და შედეგად 10 ქულით ჩამორჩა. პირველი პერიოდის 13:19 წაგების შემდეგ კაკტუსელებმა გაქცევა მოაწყვეს – ძირითადად კონტრშეტევების ხარჯზე, რაც პერიოდულად საშუალო სროლებს უთავსებდნენ, ათწუთეული 24:8 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 37:27 იგებდნენ.

შესვენება თსუ-მ უკეთესად გამოიყენა. მოედანზე დაბრუნებულმა უნივერსიტეტელებმა ჩამორჩენის გაბათილებას მიჰყვეს ხელი, რაც უპირველესად დაცვის შედეგი იყო. სანამ შეტევაში გზა გაეხსნებოდათ, სტუდენტებმა მთელი მე-3 პერიოდი იცადეს, რომლის განმავლობაში ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირეს. დასკვნითი პერიოდი უნივერსიტეტელთა სპურტით დაიწყო. გაუვალი დაცვა და სწრაფი კონტრშეტევები – ამ ყველაზე მარტივ და ძნელად შესასრულებელ საკალათბურთო ტაქტიკას ლაფანაშვილის შეგირდები ზედმიწევნით ასრულებდნენ და დარჩენილ დროში მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს. ბოლო პერიოდი თსუ-მ 29:9 მოიგო და კაკტუსს იმედი გადაუწურა.

თსუ-ში საუკეთესო შედეგი ლოველ ქაბილმა დაადფიქსირა, რომელმაც 17 ქულა, 10 პასი და 7 მოხსნა მიითვალა. 11 ქულა, 7 მოხსნა და 5 პასი მიხეილ ბერიშვილმა მოინაგრა, ივანე მეგენეიშვილის ანგარიშზე კი 13 ქულა და 6 მოხსნა დაგროვდა. კაკტუსში 12 ქულითა და ამდენივე მოხსნით საუკეთესო იყო ქუენტერიან მაკონიკო. 13 ქულა ანდრე ფოქსის ანგარიშზეა.

ოლიმპი-ჩუსთავი 81:89
(20:19, 18:26, 16:22, 27:22)

ოლიმპმა ზედიზედ მეორე მარცხი განიცადა და პოზიცია გაიუარესა. დავით როგავას გაწვრთნილმა გუნდმა რუსთავთან 81:89 წააგო.

რუსთაველთათვის ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ანატოლი ბოისას გაწვრთნილი ქვემოქართლური გუნდი ჩემპიონის კვალობაზე ხეირიანად ვერ გამოიყურება. ამ ტურამდე რუსთაველებს 2 მოგება და 5 მარცხი ჰქონდათ და ამჯერადაც რომ წაეგოთ, აუტსაიდერთა შორის განთავსდებოდნენ.

რუსთაველებმა ბოლო პერიოდში 2 ლეგიონერი შეცვალეს და თამაში გაცილებით გაუმჯობესეს. მართალია, წინა ტურში შინ ტიტებთან წააგეს, მაგრამ აშკარად პროგრესი აქვთ და ეს ამბიციური ოლიმპის დამარცხებით დაამტკიცეს.

მატჩი გუნდებმა თანაბრად დაიწყეს. პირველი პერიოდი ოლიმპელებმა მინიმალური სხვაობით – 20:19 მოიგეს, მაგრამ მე-2 ათწუთეულიდან სტუმრებმა თამაში კარდინალურად შეცვალეს და უპირატესობას დაეუფლნენ.

სწრაფი და, რაც მთავარია, შედეგიანი თამაშით რუსთაველებმა მეტოქე ჩამოიტოვეს, პერიოდი 26:18 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 7-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ. მე-3 ათწუთეულში ქვემოქართლელებმა ზეწოლა გაძლიერეს და მეტოქე გვარიანად ჩამოიტოვეს. ანგარიშში სხვაობა 16 ქულამდე გაიზარდა. ოლიმპი არ დანებდა და ბოლომდე შეუპოვრად იბრძოლა, მაგრამ უშედეგოდ.

გამარჯვებულებს კრისტიან კილინგმა ულიდერა, რომელმაც 21 ქულა, 8 მოხსნა და 7 პასი მიითვალა. 20 ქულა და 8 მოხსნა იშმაელ ჰოლისის ანგარიშზეა, ხოლო ლუვეინ პიპკინსმა შეხვედრა 13 ქულითა და 10 პასით დაასრულა. ოლიმპში 35 ქულით, 10 მოხსნითა და 5 პასით საუკეთესო იყო კახა ჯინჭარაძე. ილია ლონდარიძემ შეხვედრა 17 ქულით, 7 მოხსნითა და 5 პასით დაასრულა.

ცხუმი-ბათუმი 83:88
(21:19, 22:26, 16:23, 24:20)

ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა ბათუმმა ზედიზედ მე-3 გამარჯვება მოიპოვა. აჭარული გუნდი თბილისში ცხუმ-აფხაზეთს დაუპირისპირდა და 88:83 დაამარცხა. თავის მხრივ, ცხუმელებისთვის ეს იყო ზედიზედ მე-4 წაგება და ირაკლი ძიძიგურის გაწვრთნილი გუნდი ლიდერებს გვარიანად ჩამორჩა.

ბათუმელებმა ბრძოლისა და გუნდური თამაშის წყალობით იმარჯვეს. პირველ პერიოდში აჭარული გუნდი 5-7 ქულით ჩამორჩებოდა. ასე გაგრძელდა მე-2 ათწუთეულის ბოლომდე, სანამ ბერიშვილის გუნდი თამაშს დაალაგებდა. ზღვისპირელთა ეფექტურ დაცვას ის შედეგი მოჰყვა, რომ ცხუმელებმა ბურთების ხშირი აცილება დაიწყეს, რითაც სტუმრებმა ისარგებლეს და დიდ შესვენებამდე ანგარიში ხომ გაათანაბრეს, ბოლო წამებზე დაწინაურდნენ კიდეც – 45:43.

ბათუმელთა წარმატებული თამაში მე-3 პერიოდიდან განახლდა. როგორც პერიმეტრიდან, ისე სწრაფი გარღვევებითა და ფარქვეშა თამაშით აჭარლები ქულას ქულაზე იხვეჭდნენ და მესამე პერიოდის 23:16 მოგების შემდეგ, გადამწყვეტი ათწუთეულის წინ, ბათუმი 68:59 დაწინაურდა. ბოლო პერიოდში დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. ცხუმ-აფხაზეთის მოთამაშეები თამაშის გარდატეხის ზღვარზე რამდენჯერმე მივიდნენ, თუმცა ბათუმელებმა არ დაანებეს – არაერთი მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდეს და გამარჯვება, რომ იტყვიან, კბილებით შეინარჩუნეს.

ბათუმელთაგან 18 ქულით, 7 მოხსნითა და 4-4 ჩაჭრა-პასით საუკეთესო იყო დენის მარვინი. 19 ქულა და 10 მოხსნა ბექა ბექაურმა მიითვალა. 16 ქულა საბა ლობჯანიძემ მოაგროვა. ცხუმ-აფხაზეთში 22 ქულით, 9 მოხსნითა და 5 პასით საუკეთესო იყო ალექსანდრ ფიკოკი. 19 ქულა ტაილერ გრინმა მიითვალა.

სატუნნირი ცხრილი:

1.ვერა	9	7	2	773-785	16
2.ქუთაისი	8	7	1	742-623	15
3.თსუ	8	7	1	675-600	15
4.ოლიმპი	8	5	3	650-609	13
5.ტიტები	8	4	4	649-619	12
6.ბათუმი	8	4	4	684-660	12
7.კაკტუსი	9	2	7	667-726	11
8.ცხუმი	8	3	5	643-672	11
9.რუსთავი	8	3	5	643-681	11
10.მეგა	8	2	6	608-672	10
11.დინამო	8	1	7	669-756	9

შედეგები

19 დეკემბერი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩი

აშშ-ბოსნია 1:0

ინგლისი. ჩემპიონიტიტა

ვულვზი-ჩელსი 0:0
ნიუკასლი-სიტი 0:4
ტოტენჰემი-ლივერპული 2:2

სატუნნირი ცხრილი:

1.სიტი	18	14	2	2	44-9	44
2.ლივერპული	18	12	5	1	50-15	41
3.ჩელსი	18	11	5	2	39-12	38
4.არსენალი	18	10	2	6	27-23	32
5.ვესტ ჰემი	17	8	4	5	28-21	28
6.მანჩესტერი	16	8	3	5	26-24	27
7.ტოტენჰემი	15	8	2	5	18-19	26
8.ვულვზი	18	7	4	7	13-14	25
9.ლესტერი	16	6	4	6	27-27	22
10.ასტონ ვილა	17	7	1	9	23-25	22
11.კრ.პალასი	17	4	8	5	24-24	20
12.ბრენტფორდი	16	5	5	6	21-22	20
13.ბრაიტონი	16	4	8	4	14-17	20
14.ევერტონი	17	5	4	8	21-29	19
15.საუთჰემპტონი	17	3	8	6	16-26	17
16.ლიდსი	18	3	7	8	18-36	16
17.უოტფორდი	16	4	1	11	21-31	13
18.ბარნლი	15	1	8	6	14-21	11
19.ნიუკასლი	18	1	7	9	18-41	10
20.ნორვიჩი	17	2	4	11	8-34	10

გერმანია. ბუნდესლიგა

ფრაიბურგი-ლევერკუზენი 2:1
კიოლნი-შტუტგარტი 1:0

სატუნნირი ცხრილი:

1.ბაიერნი	17	14	1	2	56-16	43
2.დორტმუნდი	17	11	1	5	41-26	34
3.ფრაიბურგი	17	8	5	4	28-16	29
4.ლევერკუზენი	17	8	4	5	40-28	28
5.ჰოფენჰაიმი	17	8	4	5	35-26	28
6.აინტრახტი	17	7	6	4	27-24	27
7.უნიონი	17	7	6	4	23-21	27
8.კიოლნი	17	6	7	4	27-27	25
9.მაინცი	17	7	3	7	25-17	24
10.ლაიფციგი	17	6	4	7	30-22	22
11.ჰერტა	17	6	3	8	20-35	21
12.ბოხუმი	17	6	2	9	16-26	20
13.ვოლფსბურგი	17	6	2	9	17-29	20
14.გლადბახი	17	5	4	8	22-32	19
15.აუგბურგი	17	4	6	7	17-26	18
16.შტუტგარტი	17	4	5	8	22-31	17
17.არმინია	17	3	7	7	14-22	16
18.ფიურტი	17	1	2	14	13-49	5

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-ვერდერი 1:4
კარლსრუე-ჰანზა 2:2
რეგენსბურგი-დარმშტადი 0:2

ესპანეთი. პირველი დივიზიონი

გრანადა-მალიორკა 4:1
ბილბაო-ბეტისი 3:2
ხეტაფე-ოსასუნა 1:0
რეალი-კადისი 0:0

სატუნნირი ცხრილი:

1.რეალი	18	13	4	1	39-15	43
2.სევილია	17	11	4	2	28-12	37
3.ბეტისი	18	10	3	5	32-21	33
4.რაიო	18	9	3	6	26-18	30
5.ატლეტიკო	17	8	5	4	28-20	29
6.სოსიედადი	18	8	5	5	20-20	29
7.ბარსელონა	17	7	6	4	28-21	27
8.ვალენსია	17	6	7	4	26-23	25
9.ბილბაო	18	5	9	4	16-14	24
10.ესპანიოლი	18	6	5	7	20-21	23
11.ვილიარეალი	17	5	7	5	21-18	22
12.ოსასუნა	18	5	7	6	17-22	22
13.სელტა	18	5	5	8	20-22	20
14.მალიორკა	18	4	8	6	17-27	20
15.გრანადა	17	4	7	6	21-25	19
16.ხეტაფე	18	3	6	9	12-20	15
17.ელჩე	18	3	6	9	18-27	15
18.ალავესი	17	4	3	10	13-24	15
19.კადისი	18	2	8	8	15-31	14
20.ლევანტე	17	0	8	9	16-32	8

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ფუენლაბრადა-ოვიედო 0:0

პონფერადინა-ამორებიეტა 1:1
სარაგოსა-ტენერიფე 0:2
სოსიედადი ბ-ვალიადოლიდი 0:2
უესკა-ალკორკონი 0:0
კარტახენა-მირანდესი 3:0

იტალია. სერია ა

ფიორენტინა-სასუოლო 2:2
სპეცია-ემპოლი 1:1
სამპდორია-ვენეცია 1:1
ტორინო-ვერონა 1:0
მილანი-ნაპოლი 0:1

სატუნნირი ცხრილი:

1.ინტერი	18	13	4	1	48-15	43
2.ნაპოლი	18	12	3	3	35-13	39
3.მილანი	18	12	3	3	37-20	39
4.ატალანტა	18	11	4	3	38-24	37
5.იუვენტუსი	18	9	4	5	25-17	31
6.რომა	18	10	1	7	30-20	31
7.ფიორენტინა	18	10	1	7	33-24	31
8.ლაციო	18	8	4	6	36-33	28
9.ემპოლი	18	8	3	7	28-30	27
10.ტორინო	18	7	4	7	23-18	25
11.სასუოლო	18	6	6	6	30-28	24
12.ბოლონია	18	7	3	8	24-31	24
13.ვერონა	18	6	5	7	33-31	23
14.უდინეზე	18	4	8	6	26-28	20
15.სამპდორია	18	5	4	9	26-34	19
16.ვენეცია	18	4	5	9	17-31	17
17.სპეცია	18	3	4	11	18-39	13
18.ჯენოა	18	1	7	10	19-37	10
19.კალიარი	18	1	7	10	17-38	10
20.სალერნიტანა	18	2	2	14	11-42	8

იტალია. სერია ბ

ალესანდრია-პარმა 0:2
ბრეშა-ჩიტადელა 1:1
პერუჯა-ტერნანა 1:1

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

კამბური-ჰერენვენი 1:2
იგლზი-ნაიმეგენი 0:2
ფეინოორდი-აიაქსი 0:2
ვალვაიკი-პსვ 1:4

პორტუგალია. პირველი ლიგა

ბენფიკა-მარიტიმუ 7:1
ბოავიშტა-მორეირენშე 1:0
ვიზელა-პორტუ 0:4

ბელგია. ა დივიზიონი

ბრიუგე-ანდერლეხტი 2:2
ეუპენი-შარლერუა 0:4
გენკი-ანტვერპენი 1:1
ლეუვენი-სტანდარდი 2:1

მოტლანდია. ლიგის თასი

ფინალი

ჰიბერნიანი-სელტიკი 1:2

თურქეთი. სუპერლიგა

რიზე-მალათია 1:0
გიოზთეფე-ქარაგუმრუქი 0:1
ქაისერი-გაზიანთები 0:0
ფენერბახჩე-ბეშიქთაში 2:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ოლიმპიაკოსი-ლამია 1:0
პანათინაიკოსი-იანინა 2:0
პაოკი-ასტერასი 3:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

სიგმა-ზლინი 1:1
ლიბერეცი-ჩესკე 0:0
ტეპლიცე-ბოლესლავი 0:1
ბანიკი-სლავია 3:3

შვეიცარია. სუპერლიგა

ლუგანო-იანგ ბოიზი 0:5
ბაზელი-გრასჰოპერსი 2:2
სიონი-ლოზანა 2:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ლენჩნა-ზაგლებიე 2:1
ლეხი-გურნიკი 2:1

ლეხის პირველი გოლი ნიკა კვეკვესკირმა გაიტანა

ლეგია-რადომიაკი 0:3

უნგრეთი. 1 დივიზიონი

კიშვარდა-პუშ.აკადემია 1:1
დიორმოტი-დებრეცენი 0:0
ზალაეგერსეგი-უიპეშტი 2:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მუსლიმთა წმინდა ქალაქი ირანში; 2. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 3. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 5. რძის პროდუქტი; 6. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 9. სამხედრო ავიაციის ქვედანაყოფი; 10. ძველი გერმანული ტომი, რომელმაც მეხუთე საუკუნეში გაძარცვა და სასტიკად დაარბია რომი; 11. საეკლესიო წესით ქორწინება; 14. ცნობილი იაპონელი მევიოლინე ქალი; 16. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 18. ლატვიის დედაქალაქი.

თარაზულად: 1. შენობის სახურავად გამოყენებული ნაპობი თხელი ფიცარი ძველად საქართველოში; 4. სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 7. ბელგიური ავიაკომპანია; 8. სპეციფიკური მძაფრი გემოს მქონე მწვანილი; 12. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 13. დენის ძალის საზომი ერთეული ფიზიკაში; 15. მეფის განსაკუთრებული მნიშვნელობის ბრძანებულება; 17. შიშველი სხეულის გამოსახულება სახვით ხელოვნებაში; 19. სახელმწიფო კავკასიაში; 20. ღვინის სასმისი; 21. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სინაგოგა; 2. ალუბალი; 3. აორტა; 4. კაშხალი; 5. ბრავადა; 10. მასანდრა; 11. ვაშინგტონი; 12. ესკადრა; 15. ამაშუკელი; 16. ბაიერი; 17. უიარაღო; 20. პონტო.

თარაზულად: 6. ციგილისტიკა; 7. კაბერნე; 8. არაბიკა; 9. ქორალი; 13. ყავა; 14. კახასა; 18. კალვადოსი; 19. პირსი; 21. ჭონია; 22. რიბოკი; 23. ჩოჩიშვილი; 24. ბეისბოლი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხულა; 2. ეპოსი; 3. მღილი; 5. ბალეტი; 6. ნუვორიში; 9. პრეფერანსი; 10. წალენჯიხა; 11. მარასკინი; 14. კიი; 16. თუშეთი; 18. ბიტი.

თარაზულად: 1. ხარება; 4. კაბოშონი; 7. ყოჩები; 8. ლინდერი; 12. პეტრა; 13. აკვანი; 15. ცეზურა; 17. ტაო; 19. ღვინობისთვე; 20. გინეა; 21. ჩინური.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0914

ევრო — 3.4828

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0782

100 რუსული რუბლი — 4.1616

ამინდის პროგნოზი 21 დეკემბრისათვის

კარლო ანჩელოტიმ კადისსთან ფრეზე ისაუბრა

მადრიდის რეალმა საკუთარ მოედანზე კადისის დამარცხება ვერ მოახერხა და შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა. ამ შედეგს არავინ ელოდა და, ცხადია, ანჩელოტის მატჩის შემდეგ ბევრი შეკითხვა დაუსვეს. მან თითქმის ყველა მათგანს უპასუხა:

– ბუნებრივია, ეს შედეგი არ გვაკმაყოფილებს, მაგრამ ცუდად არ გვითამაშია, უბრალოდ, მეტოქეს გაუმართლა, რომ მათ გოლი არ გაუშვეს. მომავალ შეხვედრებში უფრო ყურადღებით ვიქნებით.

ხავი: „ძველი ბარსელონის დასაბრუნებლად ყველაფერს გავაკეთებ“

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა ბარსელონაში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა და თქვა, რომ გუნდს ამჟამად რთული პერიოდი აქვს, მაგრამ ყველაფრის დაძლევა შეიძლება:

– ბარსელონაში ის ტაქტიკური მონახაზი დარღვეულია, რომელიც იყო, როდესაც გუნდი დავტოვე, მაგრამ მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს ხარვეზი აღმოვფხვრა და ისევ ძველი ბარსელონა დავაბრუნო.

იურგენ კლოპმა მსაჯი გააკრიტიკა

იურგენ კლოპმა ტოტენჰემთან მატჩის არბიტრი პოლ ტერნი გააკრიტიკა და თქვა, რომ მან რამდენიმე შეცდომა დაუშვა. კლოპის აზრით, ამ შეცდომებმა მატჩის შედეგზე გავლენა იქონია.

შეხვედრა 2:2 დასრულდა.

კლოპის აზრით, ბოლო პერიოდში მსაჯები ბევრ შეცდომას უშვებენ:

– სამწუხაროა, რომ არბიტრის შეცდომების გამო დავზარალდით, მაგრამ წინ უნდა ვიყუროთ. ჩემი ფეხბურთელების თამაშით კმაყოფილი ვარ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

20 წლის გოგონა 90 წლის მამაკაცს გაჰყვა ცოლად

ჩრდილოეთ ნიგერიაში 20 წლის გოგონა ცოლად გაჰყვა მრავალცოლიან მამაკაცს, რომელიც მასზე 70 წლით უფროსია.

შაბათს გაიმართა ემირ დაურა უმარ ფარუკ უმარისა და აიშე ირო მაიკანოს მოკრძალებული ქორწილი. გოგონაში 90 წლის სასიძემ გამოსასყიდის სახით ერთი მილიონი ნიგერიული ნაირი გადაიხადა. მაიკანო უმარის პირველი ცოლი არ არის. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მამაკაცმა მინიმუმ ოთხ ახალგაზრდა ქალზე იქორწინა. ოჯახთან დაახლოებული პირის მტკიცებით, ემირი მცირე ხნის წინ დაშორდა თავის ყველა ცოლს ახალი ცოლების მოსაყვანად. მისი თქმით, უმარის გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ მას სურს, ერთ ჯერზე მინიმუმ სამ გოგონაზე იქორწინოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

21 დეკემბრისათვის

ვერძი – ხელმძღვანელ პირებთან, საჯარო მოხელეებთან ურთიერთობისათვის შესაფერისი დღეა. ყოველგვარ წინააღმდეგობას დაძლევთ. **კურო** – თავი შეიკავეთ საქმიანი მოლაპარაკებებისაგან. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ტყუპები** – ნეგატიური დღეა. კოლეგებთან და ნათესავებთან ემოციებს ნუ გამოავლენთ. **კირჩხიბი** – მოთმინება დღის დევიზია. ერიდეთ დაუფიქრებელ მოქმედებებსა და მკვეთრ გამონათქვამებს. **ლომი** – საქმიანი შეხვედრები, საბუთების გაფორმება დიდ დროს წაგართმევთ. აქტიურობა არ ღირს. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი უმაღლეს დონეზეა. პირად ცხოვრებაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – საკუთარი პოზიციები მტკიცედ დაიცავით. სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. **ღრიანკალი** – დაძაბული დღეა. იფრთხილეთ ყველგან – ქუჩაში, სახლში, სამსახურში. დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. **მშვილდოსანი** – ნაცნობებთან, კოლეგებთან ზომიერება დაიცავით. თავს ემოციების გამოვლენის უფლებას ნუ მისცემთ. **თხის რქა** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენ სასარგებლოდ დამთავრდება. **მერწყული** – ნეგატიურ აზრებს გასაქანს ნუ მისცემთ. მშვიდად იმუშავეთ. ენერგია დაზოგეთ. **თევზები** – ფასეულობების გადაფასება მოგიწევთ. მოსალოდნელია კონფლიქტი ან მცირე კამათი გარშემომყოფებთან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

მოსამართლე მოწმეს ეკითხება:

– თუ იცით, რა გელით ცრუ ჩვენებისთვის?

– როგორ არა, კუნძულს და ვილას დამპირდნენ ესპანეთში.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, ამდენ სხვადასხვა მარშებს რომ მართავენ, სულელების მხარდამჭერს რატომ არ ატარებენ?

– იმიტომ, რომ მარშები მხოლოდ უმცირესობების დასაცავად იმართება.

●●●

ქმარი სტუმრების მოლოდინში ცოლს ეუბნება:

– სადღესასწაულო სერვიზი მაგიდაზე დააწყე, მხოლოდ ვერცხლის კოვზები არ დააწყო.

– ძვირფასო, ნუთუ ფიქრობ, რომ ჩვენი სტუმრები მათ მოიპარავენ?

– არა, ვფიქრობ, რომ შეიძლება იცნონ.

●●●

სკოლაში მიმავალი პირველკლასელი საბავშვო ბაღთან ჩაივლის და ეზოში ქვიშაში მოთამაშე ბავშვებს გასძახებს:

– დიდი სიამოვნებით შემოგიერთდებოდით, მაგრამ განათლება არ მაძლევს მაგის უფლებას.

●●●

მაღაზიაში მამაკაცი გამყიდველს მიმართავს. მეუღლისთვის რაიმე ორიგინალური საჩუქარი მინდა.

– აი ეს ძალიან სექსუალური და მოდური თეთრეული უყიდეთ.

კაცმა ყველაზე დიდი ზომის აიღო და გამყიდველი ღიმილით ეკითხება:

– მძაფრი შეგრძნებისთვის ვიაგრასაც ხომ არ შეიძენდით?

– არა, ამის სანახავად, მირჩევნია, კორვალოლი ვიყიდო.

●●●

ანატომიის გაკვეთილზე მასწავლებელი გიგის ეკითხება:

– ადამიანს რომელი ორგანო აქვს ყველაზე დიდი?

– უკანალი, მასში მთელი ქვეყანა ეტევა.

●●●

კრიმინალურ ქრონიკაში აცხადებენ:

– მანიაკმა ფულს შხამი წაუსვა და ობოლ ბავშვთა სახლს შეწირა. შედეგად 20 დეპუტატი, ორი ქალაქის მერი და ერთი მინისტრი დაიღუპა. ბავშვები არ დაშავებულან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„საბავშვო ევროვიზიაზე“ ნიკო ქაჯაია მე-4 ადგილზე გავიდა

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში „ლა სენ მუსიქალის“ სცენაზე „საბავშვო ევროვიზია“ გაიმართა. რიგით მე-19 კონკურსში 19 ქვეყნის კონკურსანტი მონაწილეობდა.

კონკურსი გერმანიის წარმომადგენელმა გახსნა, მეორე ნომრად კი საქართველოს წარმომადგენელმა, „რანინას“ გამარჯვებულმა ნიკო ქაჯაიამ იმღერა გიგა კუხიანიძის სიმღერა „დავაგროვოთ ღიმილები“. სიმღერისთვის ტექსტი ირინა სანიკიძემ დაწერა, რეჟისურაზე კი ზაზა ორაშვილმა იმუშავა. ნიკოსთან ერთად სცენაზე წარდგნენ მოცეკვავეები ლიზი კვირკველია და ბარბარე წვერავა.

ყველა მონაწილის გამოსვლის შემდეგ 15 წუთი მაყურებელს ხმის მიცემის შესაძლებლობა მიეცა. ხმების დათვლის დასრულებისთანავე გამარჯვებულიც გამოცხადდა. კონკურსანტები შეაფასა 19 ქვეყნის ეროვნულმა ჟიურიმ, რომელშიც 3 მუსიკოსი და 2 ბავშვი გაერთიანდა. საქართველომ უმაღლესი 12 ქულა საფრანგეთს მიანიჭა. ჩვენი ქვეყნის შედეგები სანდრა გადელიამ გამოაცხადა, რომელმაც საქართველო საბავშვო ევროვიზიაზე გასულ წელს წარადგინა.

საქართველოს უმაღლესი – 12 ქულა დაუწერეს მალტამ, სომხეთმა და საფრანგეთმა, 10 ქულა – სერბეთმა. ყაზახეთის, ჩრდილოეთ მაკედონიის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბულგარეთის, პორტუგალიის, ნიდერლანდების, რუსეთის, ალბანეთისა და ესპანეთის მიერ მინიჭებული ქულებით ნიკო ქაჯაიამ 104 ქულა დააგროვა, მაყურებლისა და ინტერნეტმომხმარებლებისგან კი საქართველომ 59 ქულა მიიღო და საბოლოოდ 163 ქულით მეოთხე ადგილზე გავიდა.

საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული სომხეთის წარმომადგენელი მალენა გახდა 224 ქულით. მას ამ კონკურსში შარშან უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ სომხეთმა უარი განაცხადა, წელს გაუშვა თავისი კონკურსანტი და მოიგო კიდეც.

მეორე ადგილი პოლონეთმა დაიკავა 218 ქულით, მესამე ადგილზე კი საფრანგეთი გავიდა 187 ქულით.

ავთო გოგეშვილი ლიფტის შახტაში ჩავარდა

„ნიჭიერის“ ერთ-ერთი სეზონის გამორჩეული მონაწილე, ილუზიონისტი ავთო გოგეშვილი ლიფტის შახტაში ჩავარდა და მრავლობითი მოტეხილობები მიიღო.

ავთოს მეგობრების ინფორმაციით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. ხელოვანს სასწრაფოდ ესაჭიროება საზღვარგარეთ გადაყვანა, რაც დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, ამიტომ საზოგადოების დახმარებას ითხოვენ.

ანა გოგეშვილის სახელზე თიბისისა და საქართველოს ბანკებში ანგარიშია გახსნილი, სადაც მინიმალური თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ.

გურამ გვასალია ვეტმენსის კრეატიული დირექტორი გახდა

დემნა გვასალიას ძმა გურამ გვასალია ვეტმენსის კრეატიული დირექტორი გახდა:

– დროა, ასპარეზზე გამოვიდე. როცა 2022-2023 წლის შემოდგომა/ზამთრის კოლექციას ვქმნიდი, გადავწყვიტე, ვეტმენსის კრეატიული დირექტორი გავმხდარიყავი.

ვეტმენსი ჩემთვის მხოლოდ ბრენდი არ არის. ის ჩემს სისხლშია – ახლა ვიგრძენი, რომ საჭიროა, საჯაროდ გამოვიდე იმ ბავშვებისთვის, რომლებიც მოდის სამყაროში ყოფნაზე ოცნებობენ, თუმცა მშობლებს ვერ ეუბნებიან. იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც საშუალება არ აქვთ, მათთვის, ვინც დღის განმავლობაში მუშაობს და ღამით თავად სწავლობს დიზაინს. მათთვის, ვინც ფიქრობს, რომ მისი ადგილი მოდის სამყაროში არ არის.

ომის დროს ჩემმა ოჯახმა ყველაფერი დაკარგა. როცა ევროპაში გავიქეცით, უცხო ენა არც ერთმა არ ვიცოდით. მოდის სწავლა ჩემთვის არ ყოფილა არჩევანი. ჩემი მშობლები არასდროს დამთანხმდებოდნენ, რადგან ჩემს ძმასაც უკვე დაკარგულად თვლიდნენ, მე კი ერთადერთი ვიყავი, რომელსაც ოჯახის რჩენა შეეძლო.

მინდა, მივმართო ყველას, ვინც ამას კითხულობს. ეს ყველაფერი არაფერს განსაზღვრავს და არ ზღუდავს თქვენს პოტენციალს. მნიშვნელოვანია, რომ გარშემო გყავდეთ ადამიანები, რომლებსაც თქვენი სჯერათ, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს, თუ თავად არ გაქვთ საკუთარი თავის რწმენა. თქვენი წარმომავლობა არ არის ბოლო წერტილი, ეს თქვენი დასაწყისია, – ნათქვამია გურამ გვასალიას მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები ქორწილში; 2. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 3. დიდი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების ცაზე დაგროვილი შავი, სქელი ნისლი; 4. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 5. ავადმყოფობის დროებით შესუსტება; 10. სამეფო საგვარეულო; 11. რაჭაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 12. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, ცეცხლგამძლე საიზოლაციო მასალა; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 16. ქვის ხავსი; 17. ცხარე გემოს ფრანგული ცხვრის ყველი; 20. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი.

თარაზულად: 6. გულის მუშაობის გრაფიკული გამოსახულება; 7. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. გერმანული ჟურნალი; 9. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 13. რაიონული ცენტრი იმერეთში; 14. ეგრისის მეფე მეექვსე საუკუნეში; 18. ქართული ხალხური თამაში ბურთით; 19. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 21. უმცროსი მატროსი გემზე; 22. სქელი, ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 23. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 24. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა